645
1996

1996
№ 4-5-6

# საქართველოს ქალი



საქართველოს რესპუბლიკის
ჟურნალი ქალებისა და
ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
**ნარგიზა ჩხეიძე**

**სარედაქციო კოლეგია:**

- ნანული ცაგარეიშვილი
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
- ნანა ოზოლაძე
- ცინარა ტირილაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- ეთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — ცინარა ტირილაძის ფოტოკოლაჟი; მეოთხეზე — ზურაბ დათუაშვილის ფოტოეტიუდი — სარკმელი

დამფუძნებელი — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
მ. კოსტავას ქ. № 14.

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman
a Magasine for Woman of the
Republic of Georgia

# „იქნებ მომავლის გზაზე გაწვიმდეს...“

**„ჩემი ოცდაოთხსაათიანი ფიქრი მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთში დაბრუნებაა“, — ამბობს პოეტი გენო კალანდია.**

**იმ მრავალ ტიტულთაგან (გახლავთ რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გიორგი შერვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და კიდევ სხვა და სხვა), რაც ბატონ გენოს აქვს, ყველაზე მეტად პოეტის სახელი ეძვირფასება.**

**... და ახლა, დადის თბილისის ქუჩებში ტკივილიანი გულით პოეტი კაცი და ამ ტკივილს ნოსტალგია ჰქვია.**



„იქნებ მომავლის გზაზე გაწვიმდეს,
ღალატის ჯვარზე იყო გაკრული,
არ დაგავიწყდეს, არ დაგავიწყდეს,
ოქროსხმიანი ენა ქართული“.

ეს სიტყვები გენო კალანდიას ჯერ კიდევ მაშინ უთქვამს, როცა აფხაზებსა და ქართველებს შორის დაძაბულობა არც კი იგრძნობოდა, — რაღაც საბედისწერო წინასწარმეტყველებასავით გამომივიდაო, — ამბობს სინანულით.

— კოლხეთში დავიბადე და გავიზარდე, შემდეგ ვსწავლობდი სოხუმში. პირველი ლექსი იეთიმ გურჯის გავლენით დავწერე, „სიყვარულის ბაღში შაველ და იქიდან ველარ გაველ“. სხვათა შორის, დღემდე იმ ბაღში ვარ.

აფხაზეთი ჩემს შეგნებაში თავიდანვე კრძალულო რომანტიზმით შემოვიდა. მართლაც, ქართულ-აფხაზური ურთიერთობა თავდაპირველად საუკეთესო იყო. მახსოვს, როგორ გამომიწოდეს აფხაზებმა დახმარების ხელი. განსაკუთრებით ივანე თარბა დამამახსოვრდა, ქართველების მეგობარი, კარგი მოქალაქე.

1966 წელს სოხუმში გამოვიდა ჩემი პირველი წიგნი „ცა და ფოთლები“, რომელიც დღესაც პირველი სიყვარულის გრძნობით მიყვარს. საუბედუროდ, ჩვენი მეგობრული ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1968 წელს აფხაზებმა მოაწყეს პირველი ანტიქართული გამოსვლა. სოხუმის საზაფხულო თეატრში შემოიყვანეს თეთრწვერა მოხუცები დაზეპირებული პრეტენზიებით. მახსოვს მუშნი ლასურიას და ჯუმა ახუბას მგზნებარე გამოსვლები. პირველად მაშინ ვიგრძენი გაუცხოვება.

უკმაყოფილების ახალი ტალღა ათი წლის შემდეგ აგორდა. 1978 წელს ისევ ერთმანეთის პირისპირ დავდექით ქართველები და აფხაზები. მაშინ აფხაზებმა ბევრს მიაღწიეს — გაუხსნეს უნივერსიტეტი, ტელევიზია, აფხაზურ ენაზე დაიწყო ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა. შემდეგში სწორედ ის ტელევიზია და ჟურნალ-გაზეთები გახდა სეპარატიზმის ბუდე.

ყველაფერი ქართული კვდებოდა და თუ რაიმე კეთდებოდა, კეთდებოდა ენთუზიაზმით. ნებისმიერ ქართულ წამოწყებას აფხაზები ხიშტით ხვდებოდნენ. 1978 წელს ილიას იუბილე ჩატარდა შერვაშიძეების სასახლეში. (1903 წელს ამ სასახლეში ილია სტუმრად ყოფილა, სიტყვა უთქვამს და აღუნიშნავს, რომ აფხაზეთი საქართველოა). სასახლეს გაუკეთდა მემორიალური დაფა, სადაც მინიშნებული იყო, რომ 1903 წელს ილია ესტუმრა აქაურობას. ეს ფაქტი განხეთქილების მიზეზად იქცა. აფხაზებმა ქართველები იდეოლოგიურ მტრებად მიიჩნიეს.

დაძაბულობა იმდენად გამწვავდა, რომ მას პირველი დიდი განხეთქილება მოჰყვა. ცალკე გამოყვეს ქართული თეატრი, შექმნეს დამოუკიდებელი დასი.

პირველი თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე მე გახლდით. დიდი წვალებით, ტანჯვითა და რუდუნებით დავაარსეთ ალმანახი „რიწა“, წარმოჩინდა ქართველ მწერალთა ჯგუფი: რ. კალანდია, ჯ. ჯანელიძე, მ. ხურცილავა, ვ. ჯოლოგუა, ო. მიქაძე, გ. აქუბარდია, გ. ოდიშარია.

აფხაზეთის მწერალთა კავშირიდან ივანე თარბას წასვლის შემდეგ ურთიერთობა გაუარესდა. აფხაზებმა შექმნეს ანტიქართული „აიდგილარა“.

1988—89 წლებში აფხაზი და ქართველი მწერლები ერთმანეთთან შეხვედრისას უკვე თვალს ვარიდებდით ერთმანეთს, შემდეგ გავწყვიტეთ ყოველგვარი ურთიერთობა, გამოვეყავით და შევქმენით ცალკე მწერალთა კავშირი.

**— იქნებ თავიდან აგვეცილებინა ომი, თუ თქვენ თვლით, რომ ომი გარდაუვალი იყო?**

— ომი გარდაუვალი იყო. როცა 40 წელიწადი ემზადებიან ომისათვის, ის აუცილებლად მოხდება. სოხუმში ჩატარდა ჩრდილო-კავკასიელთა ფორუმი და სოხუმი გამოაცხადეს თავიანთ დედაქალაქად.

**— უმრავლესობამ ეს ომი მხოლოდ ტელევიზიით, პრესითა და თვითმხილველთა მონაყოლით გავიცნობიერეთ. თქვენ კი ცოცხალი მონაწილე ხართ...**

— აფხაზებისათვის ყველაზე დიდი მტერი ის იყო, ვინც ქართულ პოზიციას იცავდა, მაგრამ, როცა ქართული ჯარი კელასურს მოადგა, ისინი შემოგვირიგდნენ. ვცდილობდი, გადამერჩინა აფხაზი კოლეგები. მწერალი ჰუმანისტია, სიყვარულის მთესველია და ბუნებრივია, სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი. სექტემბერში ომში ფრიდონ საყვარელიძესთან ერთად წავედი. ჩვენი სახლი სოხუმში ღირსების დაცვის შტაბი იყო. იქ ცხოვრობდნენ: ნ. ნათაძე, ვ. კვარაცხელია, გ. ფანჯიკიძე, გ. ალასანია, ფ. საყვარელიძე.

ჩვენდა საუბედუროდ, დავმარცხდით. პირადად მე მიმაჩნია, რომ შევარდნაძეს ყველამ უღალატა. ჯარი დემორალიზებული იყო. მშიშარა კაცს კი ჯერ ომში არ გაუმარჯვნია. სამხედრო პროკურატურამ ყველაფერი უნდა გაარკვიოს, შთამომავლობამ უნდა იცოდეს, ვინ იყო მოღალატე.

ჩემთვის ყველაზე ტრაგიკული წუთები იყო, როცა კელასურიდან ვუყურებდი, როგორ იწვოდა სოხუმი. ქალაქში ალღუმი იყო, ცაში ტყვიები წიოდა, ქალაქი კი იწვოდა. ჩემს გულში მაშინ ყველაფერი ჩაკვდა, არასოდეს ასეთი უბედური და უმწეო არ ვყოფილვარ. შერცხვენილი, გაძევებული მივყვებოდი ჩემს ხალხს და ტრაგიკული ფილმის ყველაზე უბედური გმირი მეგონა თავი.

**— რა თქმა უნდა, თქვენ გამოიარეთ გოლგოთა...**

— გოლგოთა ფეხით გამოვიარე. 17 დღე დავრჩი ჭუბერში, მანამ უკანასკნელი კაცი არ გამოვიდა. ზუგდიდიდან მანქანა გამომიგზავნეს, გადარჩენის ინსტინქტი ძლიერია, მაგრამ მაინც უარი ვთქვი. შემოქმედ კაცს ამის გაკეთება არ შემეძლო, მერე რა პირით მელაპარაკა ხალხთან...

**— როგორი იქნება სამომავლო ურთიერთობა აფხაზებთან?**

— პოლიტიკური დიალოგი უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. ათეული წლების განმავლობაში აფხაზმა იდეოლოგებმა მოწამლეს ხალხი, ქართველი კაცის სახით მათ სულში მტრის ხატი ჩადეს. უნდა შეიქმნას ეროვნული ჯარი. ძალას ისევ ძალა უნდა დაუპირისპირდეს.

**— ბატონო გენო, იქნებ არც არის ამის დრო, მაგრამ... როგორია თანამედროვე მწერლის დამოკიდებულება მკითხველთან?**

— მწერალი დაუცველია. 70 წლის მანძილზე ისეთი მძიმე პერიოდი არ ჰქონია შემოქმედს, როგორიც დღეს აქვს. წიგნის კითხვა რომ მიატოვა საზოგადოებამ და იარაღი აიღო ხელში, იმიტომ წავიდა ჩვენი საქმე ცუდად. დღეს შეიძლება, რომ ო. ჭილაძე და ა. კალანდაძე ფიქრობდნენ წიგნის გამოცემაზე და ვერ ახერხებდნენ? ან უფრო მეტიც, ლუკმა-პურზე ფიქრობდნენ? შეიძლება „საუნჯე“, „ცისკარი“, „მნათობი“ არ გამოდიოდეს? მეჯლანუაშვილების ეპოქაა. თუ არ ვიზრუნეთ სულის გადარჩენაზე, არ ვიცი, რა გველოდება. ისეთი ხალხი უნდა იყოს მთავრობაში, ვისაც ნამდვილად შესტკივა გული ერის მომავალზე.

**— ყოველი ადამიანის ცხოვრებაშია წუთები, როცა უნდა თქვას თავისი სიტყვა, შეასრულოს მხოლოდ მისთვის განკუთვნილი როლი ამ ქვეყნად. თქვენ, როგორც პოეტმა და მოქალაქემ, თქვით თქვენი სათქმელი თუ მთავარი ჯერ კიდევ წინ არის?**

— ვოცნებობ იმ დროზე, როცა გავნაპირდები და დავწერ „ცისფერ წიგნს“. მე ჯერ კიდევ ველოდები „ჩემს“ დროს, როცა ჩემთვის ნამდვილად განკუთვნილ როლს შევასრულებ ჩემი ერის, ჩემი ქვეყნის წინაშე.

**ნინო კორაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მავთულხლართების მიღმაც ადამიანი ადამიანად რჩებოდა

# საოჯახო არქივის ერთი ფურცელი

ამ რამდენიმე წლის წინ ჟურნალ „ოგონიოკის“ ერთ-ერთ გვერდზე ჩემი ყურადღება მიიპყრო მშვენიერი, დიდთვალება, გრძელნაწნავებიანი გოგონას ფოტომ და ნარკვევმა მისი ცხოვრების შესახებ, რომელიც შეიძლება ტიპიური იყო 30-40-იანი წლების ინტელიგენციის უმეტესი ნაწილისათვის და, რომელიც შემზარავად გამოიყურება ჩვენი თვალსაწიერიდან. დასმენა, ტყუილ-უბრალოდ შეთითხნილი საქმის საფუძველზე დაპატიმრება, გადასახლება, გვარის დაკარგვა, მავთულხლართს იქეთ ცხოვრება... ასეთი რამ მრავალზე მრავალი იყო იმ შემზარავ დროს და ამ ქალბატონზეც წერდნენ იმიტომ, რომ მან შეძლო ჯოჯოხეთის გავლა, იქიდან გაუტეხელად გამოსვლა და ცხოვრების ღირსეულად გაგრძელება. ნარკვევის გმირის სახელი და გვარი იყო ნინო ივანეს ასული გაგენტორნი. სახელმა და გვარმა მომაგონა ჩვენი ოჯახის ტრაგედია და ეს მშვენიერი ქალბატონიც, რომელსაც მე ბავშვობაში პირადად ვიცნობდი.

დედაჩემს — ლარისა წულუკიძეს ბევრი და-ძმა ჰყავდა, ერთ-ერთი — ქეთო, პროფესიით იურისტი, 1937 წლის მსხვერპლი გახდა და ყაზახეთის კოლონიაში იჯდა. დეიდაჩემს არ აკლდა და-ძმის ყურადღება: ამანათები, ფული, წერილები. ვწერდი მეც, საშუალო სკოლის მოწაფე. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მას თბილისში ცხოვრების ნება არ მისცეს და იგი დასახლდა ჩვენთან, ქუთაისში, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მამაჩემმა — ექიმმა ხელწერილი დადო, რომ იგი გარანტი გახდებოდა დეიდაჩემის პოლიტიკური ლოიალობისა. როგორც მახსოვს, სადამოობით გამართული მათი საუბრები არამც თუ დეიდაჩემის, არც დედაჩემისა და მამაჩემის პოლიტიკურ ლოიალობაზე მეტყველებდა. ის გვიყვებოდა მავთულხლართების მიღმა ცხოვრებაზე. უცნაურია, რომ მთელ ამ მონათხრობში ის საშინელება, რაც მან გადაიტანა, უკანა პლანზე რჩებოდა და გვიამბობდა იქაურ გამორჩეულ ადამიანებზე. ნაღები ინტელიგენცია იჯდა მაშინ 58-ე მუხლით (ეს მუხლი პოლიტიკურ დანაშაულს გულისხმობდა). დეიდაჩემის იქაურ მეგობართა შორის იმთავითვე აღმებეჭდა გვარი გაგენტორნი. ეს უჩვეულო გვარი რაღაც მისტიურ ჟღერადობას იძენდა და მიზიდავდა. და რაოდენ დიდი სიხარული იყო ჩემთვის, როდესაც გავიგე, რომ ნინა გაგენტორნი ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდოდა ქუთაისში. ბანაკიდან გამოსული მანდილოსნები ერთმანეთთან კავშირს არ წყვეტდნენ, წერდნენ წერილებს, უგზავნიდნენ ამანათებს, თუ საშუალება ჰქონდათ, ერთმანეთსაც ესტუმრებოდნენ ხოლმე. დეიდაჩემის მეგობრებში ქართველების გარდა, იყვნენ პოლონელები, ესტონელები, რუსები, ებრაელები. გაგენტორნის სტუმრობა საკმაოდ ბუნდოვნად მახსოვს (ეტყობა მე მაინც ჩემი სამყარო მქონდა უფრო). ეს კი მახსოვს, როგორი ალერსით მომიკითხავდა ხოლმე დეიდაჩემისადმი გამოგზავნილ წერილებში, ბოლოს თავისი წიგნიც მისახსოვრა თბილი წარწერით. იგი პროფესიით ეთნოგრაფი იყო და რუსეთის ჩრდილოეთის მცირე ხალხების კოსტუმებს სწავლობდა.

60-იანი წლებში დეიდაჩემს პატარა ამანათი მოუვიდა, სადაც მანქანაზე გადაბეჭდილი ხელნაწერი იდო (ის ხელნაწერი ახლა ჩემი ძმის თამაზ ლორთქიფანიძის ოჯახშია დაცული). ესაა ნაწარმოები, ჩემის აზრით, სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩის ერთი დღის“ გავლენით დაწერილი. ეს ხომ საოცრად პოპულარული ნაწარმოები იყო იმ ხანებში. მოთხრობაში მათი ბარაკის ცხოვრებაა აღწერილი. შესაძლოა იგი მხატვრულად დიდად გამორჩეული არ იყოს, მაგრამ სიტუაცია, რომელშიც ადამიანი არაჩვეულებრივად მკვეთრად ავლენს თავის თვისებებს — ცუდსაც და მაღალზნეობრივსაც, მეტად ცხადადაა წარმოჩენილი.

ახალგაზრდობა უფრო თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ამიტომ მე ვერ მივადევნე თვალი — იყო თუ არა ეს მოთხრობა სადმე დაბეჭდილი (ეს ქალბატონი ლენინგრადელი იყო და იქვე დაბრუნდა გადასახლებიდან): გავიდა წლები, გარდაიცვალა დეიდაჩემი, წავიდნენ სხვებიც და აი „ოგონიოკში“ გამოქვეყნებულმა ამ ფოტომ მიბიძგა სომეიზრო მკითხველისთვის თითქოს და პატარა პირადი ამბავი, რომელიც მრავალთა სულში სიმებს შეარხევს.

ნინა გაგენტორნის მოთხრობიდან, სადაც განსაკუთრებულ სიყვარული ჩანს მის გვერდით მყოფი ქართველი მანდილოსნებისადმი, მინდა მხოლოდ ერთი პატარა ამბავი გავაცნო მკითხველს: იგი იგონებს ერთ-ერთ პატიმარს, რუსის ქალს, რომელსაც საშინლად ატკივდა კბილი. ქალი სამოცზე მეტი წლისა იყო. კოლონიის სანიტარ პუნქტში ყურადღება არ მიაქციეს მოხუცის ჩივილს და კბილის ამოღებისას ისეთი წამალი გაუკეთეს, რომელიც მისთვის საბედისწერო გამოდგა. ავადმყოფს სისხლი ჩაექცა და გონებადაკარგული გადაიყვანეს ლაზარეთში. საოცრად შეშფოთდნენ თვით ნინა და ქეთო წულუკიძე, ვინაიდან იცოდნენ, როგორ ეშინოდა ამ ქალს ავადმყოფობის და მარტოობის, მაგრამ ლაზარეთში მათი შესვლა შეუძლებელი იყო. პატიმარმა ესტონელმა ქალმა, რომელიც მორიგეობდა ლაზარეთში და იცოდა ამ სამი ადამიანის მეგობრობის შესახებ, ნინა გაგენტორნს უთხრა, რომ შეუძლია მათი შეშვება, მაგრამ მონაცვლეობით. და აი, ნახევარი ღამე უგონო ადამიანის გვერდით გაატარა ჯერ ერთმა პატიმარმა, შემდეგ მეორემ და გამთენიისას ავადმყოფმა ისე დალია სული, არ გაუგია მეგობრების გვერდით ყოფნა, მაგრამ თვით მეგობრებს სჭირდებოდათ ეს. ადმინისტრაციას ეს რომ გაეგო, რა თქმა უნდა, სამივე — ესტონელიც, ქართველიც და შვედების ჩამომავალიც (გაგენტორნები გადმოცემით შვედური წარმომავლობისა იყვნენ და შემდეგ დამკვიდრდნენ რუსეთში), უმკაცრესად დაისჯებოდა, მაგრამ ეტყობა, მათთვის მოვალეობა ყოველივე სასჯელზე მაღლა იდგა.

**ინგა ლორთქიფანიძე**

---

# ხანძარი

მზია ხეთაგური




გ ანგაშის ატეხვის დროა, — მოგვიწოდებდა ჟურნალისტი ნელი ბერაია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ წერილში „ტუბერკულიოზი ფართო ფრონტით გვიტევს“. ეს პრობლემა რადიო და ტელევიზიამაც გაამუქა და გამახსენდა ჩემს ბავშვობაში მიღებული ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება.

ცხინვალში, ჩვენს ძველ უბანში, თავყელიშვილების ოჯახში ცხოვრობდა. ჭლექით შეპყრობილი 18 წლის ნუნუ თავყელიშვილი გამუდმებით სახლის წინ სკამზე იჯდა ფერმიხდილი და გალეული. რამდენჯერაც მათი სახლის წინ ჩავივლიდით, დედაჩემი ეუბნებოდა: ნუნუ, საჭმელი კარგად უნდა ჭამო და მორჩებიო. ნუნუს გასაცოდავებულ თვალებში უმწეობა და მიმისადმი გულგრილობა იდგა. „ვერ ვყლაპავ, არ გადადის ყელში, დეიდა ქრისტინე“, — ეტყოდა ხოლმე დედას უკვე მეასედ ნათქვამს. და მოკვდა ნუნუ. ასე მოკვდა სომეხი გოგო, ლარისაც თბილისში, ლერმონტოვის 4-ში, ეზოიანი სახლის ერთ-ერთი მკვიდრი — ქერა, გამხდარი, უნიათო და ნუნუსავით საცოდავთვალებიანი.

თუ გენიოსი. საამისოდ ლადო ასათიანის მაგალითიც კმარა. ჭლექი ანუ ტუბერკულიოზი მთელი ძალით გვიტევსო! — გვაფრთხილებენ დღეს. მე კი მახსოვს 60—70-იან წლებში ტუბერკულიოზის მიმართ სულაც აღარ იყო ის პანიკური შიში, რაც წინათ, ომისშემდგომ პერიოდში. უკვე იყო უამრავი წამალი და ხელისშემწყობი პირობები ამ სენის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ იყო დრო, როდესაც ავადმყოფ მშობელს შვილის ალერსის უფლებაც არ ჰქონდა. მერე კი შიშმა უკან დაიხია და „გათავხედდა“, გადიდგულდა ჩვენი დამოკიდებულება ჭლექის მიმართ. იგი ლამის უბრალო სურდოს, ან უარეს შემთხვევაში, ბრმა ნაწლავის მარტივ ოპერაციას გავუტოლეთ, ახლა კიბო იქცა საზოგადოებისათვის თავზარდამცემ სენად. სწორედ აქ გამახსენდა, რა ხშირად ამბობდა დედაჩემი — (პროფესიით ექიმი — პედიატრი) — 20—30 წლის შემდეგ ტუბერკულიოზი კიბოზე საშიში გახდება, თავის ძველ სახეს ახალი, უფრო ვერაგი ფორმებით გამოაჩენსო. მართლაც 30 წელია გასული... დღეს ვკითხულობ სტატიას ამ თემაზე, მესმის ექიმების შემაშფოთებელი ხმა,

ვილებში, რომლებიც ისეთ სამუშაოებს ასრულებენ, რაც ადამიანებთან უშუალო კონტაქტებს ემყარება და ამდენად, საშიშროებაც მატულობს. ყველა ეპოქას თავისი უკურნებელი დაავადება ახასიათებს. ჯერაც მწვავედ დგას კიბოს საკითხი, შემოჭრილია შიდსის რეალური საფრთხე, ახალი გამანადგურებელი დაავადებაა დაძრული აფრიკიდანო, — ახლახანს ესეც გვაუწყეს.

რა ვქნათ? ჯერჯერობით დაუძლურებულ და მძიმე მდგომარეობაში მყოფ საქართველოს არ ყოფნის ძალა და სახსრები ამ თითქოსდა არამოდურ დაავადებას — ტუბერკულიოზს გაუმკლავდეს. არადა, ტუბერკულიოზი მართლაც გვიტევს!

შიდა ქართლის მკვიდრი ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე: სახანძრო რაზმის მანქანები სად იყო ჩვენს დროს და როცა რომელიმე სახლს ცეცხლი გაუჩნდებოდა, ყველანი ლიახვისკენ გავრბოდით, კოკებსა და კასრებს ვავსებდით და ცეცხლს ერთად ვაქრობდითო.

მე ასე მგონია, დღეს ყველა დაავადებაზე მეტად ცეცხლი ზნეობას უკიდია და დაუნდობლად იწვის, იფერფლება, ისპობა. სწორედ ზნეობის დეფიციტმა და უზნეობის აყვავებამ იცის ნებისმიერი საქვეყნო ჭირ-ვარამისადმი გულგრილობა. თითოეულს რომ შეგნებული ჰქონდეს თავისი როლი და ვალი, მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად, მაინც შეიძლება ბრძოლა ყველაფერთან, რაც სპობს და ანადგურებს ადამიანებს. ცხინვალში ერთ-ერთი ხანძრის დროს ზედმეტად დაბნეულმა ერთმა ქალმა წყალი ჩამჩით მოარბენინა ხანძრის ჩასაქრობად. ეს იქნებ სასაცილო, მაგრამ დამაფიქრებელი ფაქტია. ყველა ჩვენგანი თუ საერთო ხანძრის ჩაქრობის სურვილით თუნდაც ჩამჩით გაიმეტებს წყალს, ამით თუ არ ავყვავდებით, არ გავცამტვერდებით მაინც!

ეგრეთწოდებულ „ქველმოქმედთა“ გულგრილობა რომ არა, თუნდაც ის გაზეთებით უკვე გახმაურებული სამედიცინო ჰუმანიტარული ტვირთი, რომელიც კანადიდან ვასო მარგველაშვილის მიერ მოსკოვში ჩატანილი დგას და თავის პატრონს ელოდება, — განა ჩვენგან ასე უყურადღებოდ იდებოდა დღესაც, რომელსაც ისევ მოსკოვი უნდა დაეპატრონოს?

რა არის ქველმოქმედება? რით განსხვავდება იგი ბიზნესისაგან? ბიზნესი ხომ ურთიერთხელსაყრელ ანუ ორივე მხარის მოგების პრინციპს ეყრდნობა. კომერცია და ვაჭრობა კი მოგებისა და წაგების მონაცვლეობაა; მაგრამ ქველმოქმედება მხოლოდ სხვისთვის, გაჭირვებაში მყოფის დახმარებას გულისხმობს და აქ რაიმე შენს მოგებაზე ლაპარაკიც კი უზნეობაა. აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნდა წააგო ანუ უნდა გაილო და ამით მოიგო, რადგან სხვისი გაჭირვებიდან ამოყვანა ქველმოქმედის მოწოდება და ბუნებაა. სწორედ ესაა მისი მოგება — მორალური კმაყოფილება, მამულისადმი სიკეთით აღვსილი გულის სიხარული... ვიდრე ქვეყანა ფეხზე დადგება, ყველამ გავილოთ, რაც შეგვიძლია და ზოგჯერ ისიც, რაც არ შეგვიძლია. ხანძარი უკიდია ყველაზე მთავარ შენობას — გულმოწყალებას! ჩავაქროთ ეს ხანძარი, მოვიტანოთ ერთი მდინარიდან წყალი, ნუ დაველოდებით სახანძრო რაზმის მანქანას, რომელმაც შეიძლება ძალიან დააგვიანოს! თუნდაც იმ ჩამჩით გამოვიტანოთ წყალი! მხოლოდ ამ ხანძრის ჩაქრობის შემდეგ შეიძლება ეშველოს სხვა ხანძრებსაც, რომელთა შორის ერთ-ერთი — ტუბერკულიოზია. კოხის ჩხირები ჰაერში ტრიალებს! ავარდნილია გულგრილობის კორიანტელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჩემი საწყალი სიყვარული..."

ამ წერილის გამოქვეყნება სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო საკმაოდ დაგვიანდა; ამ ხნის მანძილზე კი ბევრი რამ მოხდა...

ბატონ რეზო ინანიშვილის დანატოვარ ოჯახს უბედური შემთხვევის გამო გარდაეცვალა უფროსი ვაჟი კოტე — ნიჭიერი და ძალზე კეთილი კაცი, „ყველგან და ყოვეთვის თბილად რომ დაატარებდა მზერას"...

ქალბატონ როზასთან კი მეორედ ჩემი მისვლა ძნელიც იყო და საუხერხულოც... მან კი, როგორც ქართველ მეუღლესა და დედას შეეფერება, ისე მიმიღო, — მტკივანი სულის დაყუჩებას სიკეთეების გამოჩინებით რომ ცდილობს... საოცრად შეცვლილს გარეგნულად, დაპატარავებულსა და თვალში სხივჩამქრალს სულის მხნეობა მაინც არ აკლია. „— ნეტავ ვის რად უნდა ჩემი საწყალი სიყვარულის ამბავიო", — მითხრა მორიდებით.

მე კი მეგონა, სწორედ ასეთი სიყვარული გვაკლია...

რეზო ინანიშვილის შემოქმედება მყარი კედელია: სიცხეში ჩრდილოვანი, გ' ,ლი და საამო, სიცივეში — მზისგან ჩათბუნებული. მიდი, 'იაყუდე ზურგი და იქიდან გახედე ქვეყანას. იგი კი ისეთი კა,ოგია, ისე საბრალოდ კარგი, რომ ყველასი და ყველაფრის მოფერება მოგინდება, უფრო კეთილი გახდები, უფრო მოგირბილდება ნაბიჯი.

„... და მაინც — მწერალი უფრო უნდა წააგავდეს მწირს, რომელიც ბრძოლის ველზე დადის და წყლულებს უხვევს დაჭრილებს. ეს მწირი, თვითონ გადამტანი ათასგვარი ჭირ-ვარამისა, თავისი სიმშვიდით ნუგეშს უნდა უნერგავდეს სულატკივებულებს, ათბობდეს შეციებულთ, აწყნარებდეს, მისკენ ეწეოდეს აღელვებული, აპარპაშებული" (რეზო ინანიშვილი).

დაჰკვირვებიხართ მწერლის გმირ ქალებს? როგორი ალერსის ცრემლით აქვთ გაბრწყინებული თვალები და რა ლამაზი სიყვარული იციან.

მე მინდა ერთი ლამაზი სიყვარულის ამბავი გადმოგცეთ, ბატონ რეზოს მეუღლის მიერ ნაამბობი. ამ ამბისთვის არც არა მომიმატებია რა, და არც არა დამიკლია...



რეზო ინანიშვილი



ვაჟიშვილი კოტე



რეზო ცოლშვილთან,
დედასთან და ბეჟან ბარდაველიძესთან

— მეც საგარეჯოდან ვარ, რეზოსავით, ოღონდ უჯარმიდან, რეზო ხაშმელია. .

რეზომ უნივერსიტეტს რომ დაანება თავი (გაჭირვების გამო) სამგორის მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა საწყობის გამგედ. უჯარმა იყო ცენტრი ამ მშენებლობისა. რეზო ჩემს დასთან მეგობრობდა, ნინიკოსთან. პირველად რეზოს ზაფხულში შევხვდი, 1949 წლის ზაფხულში. მე პედაგოგიურ სასწავლებელში ვსწავლობდი, თბილისიდან ვიყავი ჩასული ზაფხულის არდადეგებზე. ერთხელაც ასე, ჩვენი ვენახებისკენ მივდივარ, გზა კი რეზოს სამსახურთან გადის. მოდენილან რეზო და მისი ამხანაგი. ვინ არის ეს გოგოო, უკითხავს რეზოს. ნინიკოს ნათესავიაო. იმას არკი სცოდნია ჩვენი დობა, რატომ ეხლა? — მამიდაჩემი უშვილო ქალი იყო. წინათ იცოდნენ ასე — ახლობლის შვილს გაზრდიდნენ ხოლმე. მეც ასე გავიზარდე მამიდასთან და ბიძასთან. ისინიც უჯარმაში ცხოვრობდნენ. ამიტომ ვეგონე იმ კაცს ნინოს ნათესავი. რეზოს გახარებია თურმე, რა კარგია, ნინოს მხრიდან დაველაპარაკებიო.

რეზოს რომ მოვეწონე, მისიანებმა თურმე ყველამ იცოდა. მაშინ საწყალი ისე იყო გამხდარი, ჩექმებით, „ტელოგრეიკით" დადიოდა, თმები გრძლად ჰქონდა გაშვებული და მე ძალიან არ მომეწონა.

ბევრი ალუბალი გვედგა ეზოში. დაპატიჟა ნინიკომ თავისი თანამშრომლები. მოვიდა რეზოც. ფეხსაცმელი ჰქონდა გარღვეული და მავთულით აბლანდული. ეს როგორი ფეხსაცმელი აცვია-მეთქი, ტუჩი ავიბზუე. არ მომეწონა. ხაშმიდან უჯარმაში ყოველდღე ფეხით დადიოდა. გაუჭირდებოდა, აბა რა იქნებოდა. მაგრამ მაშინ აბა ამეებისა რა ვიცოდი. ჩემზე რას გავიფიქრებდი, ჩემი დის საამხანაგოდაც არ მომწონდა. იცი, რა კარგი ბიჭიაო? — მითხრა ერთხელ ჩემმა დამ.

ნებიერად ვიზრდებოდი მამიდასთან და ჩემი დის ნებიერაც ვიყავი — საქმეს არ მაკეთებინებდნენ. თუმცა რა, ჩვიდმეტისა ვიყავი მაშინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ თბილისში მესტუმრნენ ჩემი და და რეზო. მეორედ რომ ჩამოვიდნენ, თეატრშიც წამიყვანეს. მერე ჩემი დის გარეშეც მოდიოდა. ახლობელი ბიჭი არავინ მყავდა და მიხაროდა მისი ჩამოსვლა, შევეჩვიე. ძალიან მორიდებული იყო, ძალიან კეთილი. მთელი წელი ასე გაგრძელდა.

1 მაისია. ჩემი და ჩამოვიდა და მითხრა, რეზოს დასთან წავიდეთო, იქ იყო რეზოც, მისი და, დედა.. სუფრა ჰქონდათ გაშლილი. ნამდვილად ჩვენი იქნება ახლა, ნამდვილადო, ამას ვენაცვალეო, თქვა რეზოს დედამ და შემომხედა. ავიწურე, შემრცხვა ძალიან. დედას შვილებმა თვალებით ანიშნეს და ისიც ღიმილიანი, გაჩერდა.

18 წლის რომ გავხდი, პუშკინის ლექსები მაჩუქა რეზომ და მითხრა: შენ არც ისეთი პატარა ხარ, და ხვდები ალბათ ყველაფერსო. მითხარი, მოგწონვარ თუ არა და თუ არა, აღარ მოვალო.

მე გაჩერდი, თავიდან ვერაფერი ვთქვი, ვერაფერი, მერე ჩავიდუდღუნე, აღარ მოხვიდე-მეთქი. მთელი ღამე არ მძინია. რაც მე მაშინ ვინერვიულე... ხომ იცი, გოგოს მეტიჩრობა, შემრცხვა მისი და ასე იმიტომ ვუთხარი. აღარ მოვა, აღარ-მეთქი, ვტიროდი.

მოვიდა! და ხო იგრძნო, როგორ შევხვდი. ან რად უნდოდა პასუხი. მერე ერთად დავდიოდით კინოშიც, თეატრშიც, გამოფენებზეც...

ძალიან მორიდებული იყო რეზო ჩემთან. რომ დავდიოდით, ხელმკლავს მე ვუკეთებდი. ჩვენი მოფერება რა იყო — ჯიბეში მითბობდა ხელს...

(უცებ ქალბატონი როზა უმწეოდ აქვითინდა. სახეზე ხელებაფარებული საწოლ ოთახში გავიდა და სარკის წინ, პატარა სკამზე ჩამოჯდა. ქვითინებდა ხმამაღლა, ბავშვურად. შევწუხდი, რა გამეკეთებინა, არ ვიცოდი. მაპატიეთ-მეთქი ვევედრებოდი. ხელები დამიჭირა და შემომევედრა მე მაპატიეო, რა ვქნა, რეზო მენატრება, ძალიან მენატრებაო).

გუშინწინ ვნახე სიზმარში, მოვიდა. ჩვეულებრივად საუბრობდა. ვიცოდი, რომ ცოცხალი არ იყო, მეჩვენება თუ... დასარწმუნებლად ვკითხე:

— რეზო, ჩემი ხარ! გაიცინა და, — შენი ვარო. — რეზო, ჩემი ხარ-მეთქი? — ხო, ხოო! ორჯერვე ეცინებოდა. ჩემივე ტირილმა გამომაღვიძა.

ადრეც ვნახე... უჯარმასა და ხაშმს შორის იორი ჩამოდის. გაღმა — გამოღმა ჭალები სულ გადახნულია. ვნახე იმ ჭალებში, იქ იდგა ბარით და ნიჩბით, ერთი ქილა მაწონი მომაწოდეთო, ითხოვა...

1952 წლის იანვარი იყო, ჩვენ რომ დავქორწინდით... მაშინ უსახსრობის გამო სწავლას მონატრებული რეზო ნიკო კეცხოველმა დააბრუნა უნივერსიტეტში, II კურსზე აღადგინეს.

სადედამთილო, მე და რეზო წავედით ჩემს გამზრდელ მამიდა-ბიძასთან. ბიძაჩემი კი ჩემზე გაბრაზებული ყოფილა ძალიან. კი გამიკვირდა, სულ ამას მეუბნებოდა, სიყვარულით გათხოვდი შვილო, სიყვარულით გათხოვებას სულ სხვა სილამაზე აქვსო და ახლა რამ გაადიდგულა-მეთქი. თურმე ცუდი ამბები ჩაუტანიათ მოენეებს... ჭორიკანა ხალხს რა გამოლევს? მე ამეებისა არაფერი ვიცოდი. ძალიან გავბრაზდი, აი, უარს ვეტყვი რეზოს, გავახარებ ბიძაჩემს, მაგრამ რომ დავჭლექდები და მოვკვდები, მერე ირტყან ხელები-მეთქი. სიგიჟემდე მიყვარდა უკვე რეზო. მაგრამ... უარი კი არა და.. კარგი ქეიფიც გადაგვიხადეს. მერე წავიდით უჯარმაში (გახსოვთ „მთვარე — ჩვენი მფარველი"?...) ჰო, ჩემს დედამთილს უჭირდა ძალიან და ბიძაჩემმა და მამიდაჩემმა, ჩვენ აღვნიშნოთო. პატარა სუფრა გაშალეს. იმდენად ვიყავი გაბრუებული, რეზოს მეტს ვერაფერს ვხედავდი. მამიდაჩემი მიწყრებოდა, გოგო, რა დაგემართა, მარტო შენ ხო არა თხოვდებიო. რეზოსაც სცხვენოდა ჩემი აქაცებისა და ჩუმ-ჩუმად და მალულად ჩამომიშორებდა. მე აღარაფრის მერიდებოდა, რომ დაენებებინათ, რეზოს ნაფეხურებსაც დავკოცნიდი.

წავედით მერე უჯარმაში. იორი გაყინული იყო და ფეხით გავედით... გამოგვყვა ჩემი დაც..

ხომ გითხარით, ჩვენების ნებიერა ვიყავი მეთქი. ჩემ დას რეზოსთვის ეთქვა ადრე, რათ გინდა, ბიჭო, როზა, დედაშენს როგორ გადავურჩები, ამ ჩემს დას საქმისა არაფერი გაეგებაო. (ჩემი დედამთილი ძალიან ხელმარჯვე ქალი იყო და მიტომ ერიდებოდა). ჰოდა, რომ გავედით, იმ საღამოსვე დედამთილმა რეზოს პერანგი მომცა გასარეცხად. გამიშინაურა, თანაც საქმის ცოდნა გევალებაო, ესეც მაგრძნობინა. ისე გულმოდგინედ ვსრესდი, თითები დამისისხლიანდა. გადმოვედით მერე თბილისში, რეზოს დის სახლში. 21 კვადრატული მეტრი იყო სულ ის სახლი. არავითარი სათავსო.

ქმარი მიყვარდა და სხვა არაფერი მაინტერესებდა. ის კი არა, მეგონა სოფელშიც ძალიან ღარიბად ცხოვრობდნენ. რეზო მატყუებდა — მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვსო. ისიც გადატიხრულიო, იქით საქონელია, აქეთ ჩვენო. აინუნშიც არ ჩამიგდია ეს ამბავი. ძალიან მიყვარდა სიმწვანე. რეზოს ორსართულიანი სახლი კი სულ ნუშებით იყო გარშემორტყმული, რომ აყვავდებოდა...

მიწისძვრამ დააზიანა ახლა ის სახლი. მინდა ისე გავაკეთოთ, როგორიც იყო. ნუშის ნერგები მეზობელმა მომცა. ახლა რომ წავალ, უნდა ჩავრგო...

თბილისში ჩემი მულის ბინაში ვცხოვრობდით, იცით რამდენი? — ხანდახან 8 სულიც. კოტე იქ შეგვეძინა. ახლაც გვაქვს ძველი საწერი მაგიდა, იმდროინდელი. რეზოს უყვარდა ძალიან.. და ხანდახან იმ მაგიდაზეც გვეძინა. რეზომ დაამთავრა, სამსახური დაიწყო. მერე მეც დავიწყე ჩემს სოფელში მასწავლებლად მუშაობა. რაღაცა ცხოვრების სახსარი ხომ უნდა გვეშოვნა. 1968 წელს მოგვცეს მარჯანიშვილის ქუჩაზე ერთოთახიანი ბინა. იმ ბინაშიც და აქაც სულ ნათესავები გვყავდა შემოხიზნული, მერე გავფართოვდით.

...რომ გავყევი, ერთადერთი მოთხრობა ჰქონდა დაბეჭდილი. 1953 წელს (ჩვენ 52-ში დავქორწინდით) გამოვიდა მისი მოთხრობების თხელი კრებული.

ადრე ძალიან ბევრს წერდა, ბევრსაც შლიდა, იმდენს მუშაობდა, ისე იტანჯებოდა, ისე წვალობდა, რომ გულწრფელად გეტყვით, მეც მასავით ვიტანჯებოდი. რომ გენახათ, ისეთი დარდიანი იყო... ხანდახან ერთ სიტყვაზე მთელი კვირა მუშაობდა. ახალ დაწერილს რედაქციაში არ მიიტანდა. კარგა ხანს ედო, მთელი თვეობით და მერე კიდევ გადახედავდა, ამის მერე მიჰქონდა.

ხანდახან შემეკითხებოდა, ამას როგორ იტყოდი შენო, ხანდახან დედასაც ეკითხებოდა. უხაროდა, თუ მოეწონებოდა.

მთლად ისეთი არ იყო, როგორიც გგონიათ, დახატული, გაჯავრებაც იცოდა. უცებ აფეთქდებოდა, მაგრამ მალე მორბილდებოდა.

ახალგაზრდობიდანვე სულ მისი სიკვდილის მეშინოდა. როცა მართლა საშიში იყო, სწორედ მაშინ არ შემშინებია, — გერმანიაში წაყვანას ვუპირებდით და მისი მორჩენის დიდი იმედი მქონდა.

...„მაშინ „ნაკადულში" მუშაობდა. ერთხელ მეუბნება: სუყველაფერზე რომ მეთანხმები, ნუთუ ან ჩემზე არ გაჯავრებულხარ, ან საწინააღმდეგო აზრი არა გაქვსო. სუყველაფერზე თანხმობა რაღა არისო.

გამეცინა, — როგორ არა, მაგრამ არ მინდა გაწყენინო-მეთქი.

— მერე რა, მითხარი რამე, ერთფეროვანი ცხოვრება ძალიან მომწყინდა.

— არ გამიბრაზდე, ოღონდ-მეთქი.

— არაო.

მერე შევყარე მეც წარბები, რაღაც არმოსაწონზე. აუწია რეზომ ხმას, ავუწიე მეც. ცოტაც და... აფეთქდება. მაშინ კი გადავიხარხარე — შენისთანა კაცს, როგორ უნდა შეეწინააღმდეგო-მეთქი. — არა, არა, ისევ ადრინდებულად სჯობია ცხოვრებაო, — მითხრა გაცინებულმა.

...ადრე ვახერხებდი, რეზოსთვის ოჯახის პრობლემები დამემალა. ვთქვათ, არ გვქონდა ფული, დაღონდებოდა რეზო. ბიჭო, რა გაღონებს, ლობიო და პური მაინც ხო გვექნება-მეთქი, ბიჭები რომ წამოიზარდნენ, უკვე ველარ ვახერხებდი რეზოსთვის ამერიდებინა ყოველდღიური უსიამოვნებანი.

შვილებთან იყო... სიყვარულის გარდა შიშიც ჰქონდა, რბილი იყო ძალიან... ეცოდებოდა, ვერ იმეტებდა მუშაობისთვის. მეც მეყოფა, ამდენი მუშაობით კუზები რომ ამომივიდა მხრებზეო..

ძალიან იცოდა დაღონება ხოლმე, კვირაობით. გამიჩნდებოდა შიში: — ვაიმე, იქნება ნანობს, რომ მე შემირთო. აი, რატომ დადის დაღონებული. და გულში ვფიქრობდი, თუ უნდა, დამანებოს თავი, ვინც უნდა ის შეირთოს, ოღონდაც არ დაღონდეს-მეთქი. ეტყობა, როგორიც ვეგონე, ისეთად ვერ დამინახა-მეთქი. ერთხელ გავბედე და ვუთხარი: რეზო, თუ დაგვტოვებ, შენ არ გეგონოს, რომ დავიწყებ ტირილს... ოღონდ ერთსა გთხოვ, რომ კოტესთვის ცოტა საჭმელი მოგვაწოდო.

შე სულელო, ეს რეებსა ფიქრობო. აი, ახლაც ხომ ვწერ და რომ არ გამომდის ისე, როგორც მე მინდა, მიტომ ვხვდები ასეო.

გრძელდებოდა ცხოვრება. კიდევ იყო ასეთი დაღონება წლების განმავლობაში. ისევ შემიშფოთდებოდა გული, ისევ ვეტყოდი ჩემსას. ერთხელ კი ძალიან გამიბრაზდა და მითხრა: შენ რა ადვილადა მთმობ, რაღაცაში ხომ არ არის საქმეო?

რა ვქნა, მისი უგუნებობის დროს ეს ფიქრი და შიში არ მომცილებია მთელი ცხოვრება.

ისე, ცოლ-ქმრობაში რომ ვერ არის კარგად საქმე, ყოველთვის ქალს ვადანაშაულებ. ქალს ყველაფერი შეუძლიან — სიტკბოს შემოტანაც და სიმწარისაც.

მისი სიცოცხლე იყო ჩემი სიხარული.

იმდენად იყო ცხოვრებისაგან შეშინებული, რომ რამეს რომ შევიძენდით, ცოტა ფუფუნებისას, მეტყოდა, რა საჭიროა ზედმეტი რაღაცეები, რაც აუცილებელია, ის გვქონდესო. მერე, დრო რომ გავიდოდა, მოეწონებოდა ის ნაყიდი. საწყალი ჩემი დედამთილი მეტყოდა, — შენც ისე იყიდე, შვილო, ნუ გააგებინებო. „ციგეიკის შუბა" ვიყიდე ერთხელ (მაშინ მარჯანიშვილზე ვცხოვრობდით), არ მოეწონა, არ გიხდებაო. იქნებ მართალი იყო. იმას უფრო კარგი გემოვნება ჰქონდა. „სამაგიდო რვეულში" მისი სიკვდილის შემდეგ ასეთი ჩანაწერი ვნახე: გახსოვს, ის ქურქი. შენ ჩემთვის როგორ იყავი გადაყოლილი და მე კიდევ როგორ გაწყენინეო. ამაზე ბევრი ვიტირე. ის რა საწყენი იყო. [illegible]ეს როგორ [illegible]იფიქრა..

[illegible]და ისე უყვარდა, ისე, რომ.. ბებია... ბებიას გაზრდ[illegible]ი იყო და სიყვარულით სწერს მასზე... იშვიათი და[illegible]ბა ჰქონდათ. ერთი მძიმე სიტყვა არ უთქვამთ ერთმ[illegible]ეთისთვის.

ხომ ძლიერ, ძლიერ უყვარდა ყველა — მისიანები, ახლობლები, მეგობრები, მაინც სულ სიყვარულის ძებნაში იყო, მაინც სულ სიყვარული ენატრებოდა....

**მანანა ზარიძე**



## ვარცხნილობა თანასწორუფლებიანობისათვის

ვარცხნილობა მარტო მოდაზე კი არა, საზოგადოებრივ შეგნებაზეც მოქმედებს, — ამტკიცებს 60-იანი წლების პარიკმახერი-ვარსკვლავი ვიდალ სასუნი, რომელმაც თავისი სახელით მონათლული თმის შეკრეჭის ტექნიკით არა მარტო ქალის ვარცხნილობებში მოახდინა რევოლუცია.

ჩვენი საუკუნის ეს ყველაზე ცნობილი პარიკმახერი დარწმუნებულია, რომ მისმა გამოგონებამ ხელი შეუწყო ქალთა ემანსიპაციას. სასუნის აზრით, რომელიც მან ინგლისელ ჟურნალისტთან საუბარში გამოთქვა, 60-ანი წლების ქალიშვილებსა და ქალებს სრული თანასწორუფლებიანობის მიღწევაში მარტო სოციალური დოგმები კი არა, მოძველებული ვარცხნილობაც უშლიდა ხელს, მის მიერ შექმნილმა გეომეტრიულმა ვარცხნილობამ ხელის ერთი მოსმით დაარღვია ყოველგვარი ბარიერები. საინტერესოა, რომ პარიკმახერის ამ მოსაზრების სისწორე დაადასტურა ფართო სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებმა, რაც ადგილს აღარ ტოვებს ეჭვისათვის, თუ ვის უნდა უმადლოდნენ XX საუკუნის ქალბატონები ემანსიპაციის მიღწევაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალთა უფლებების განმტკიცებისათვის

### მოდით, ვუთხრათ მთელ მსოფლიოს

1995 წელს ჩინეთში ჩატარდა ქალთა ორგანიზაციების საერთაშორისო ფორუმი, რომელშიც საქართველოს წარგზავნილმა ქალებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ფორუმმა მიიღო „სამოქმედო პროგრამა“, სადაც სხვა საკითხებს შორის ხაზგასმით არის აღნიშნული ეკონომიკის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებაში ქალების მამაკაცებთან თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფის აუცილებლობა.

ქალთა მოძრაობის პროგრამად აჟღერდა გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის მოწოდება:

„მოდით, ვუთხრათ მთელ მსოფლიოს და ვუთხრათ ეს მთელი სიამაყით: ქალთა უფლებების განმტკიცება მთელი კაცობრიობის უფლებების განმტკიცების ტოლფასია“.

ვერაფერს იტყვი: თანამედროვე სტილის ლამაზი მოწოდებაა, ახლა მთავარია მოწოდება მოწოდებად არ დარჩეს. ჩვენთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, ამ მოწოდებამ საქართველოშიც შეისხას ხორცი.

## პრაქტიკუმი მშობლებისათვის

# თუ ბავშვი არასწორად მეტყველებს

— საუკუნეზე მეტია, ლაც ელთმანეთს ალ სევხვედლივალთ, — შორიდანვე მომესალმა ჩემი დიდიხნის უნახავი ნაცნობი და განაგრძო: — სეისლები, გაგიზდები, ცვენი ალეკო ლომ ნახო.

მივხვდი, ჩემს ნაცნობს შვილიშვილი შესძენია, რომლის ნახვაც „გაგაგიჟებს“ და „შეგშლის“.

ლოგოპედიურმა ალღომ მიკარნახა, რომ აჩიკოს მეტყველებაში შიშინა (შ, ჟ, ჩ, ჭ, ჯ) ბგერები სისინა ბგერებით ჰქონდა შენაცვლებული (ს, ზ, ც, წ, ძ). ასევე ჰქონდა რ — ლ ბგერით შენაცვლებული და ამიტომაც იყო, ეჩხელა კაცი, ბავშვის მიბაძვით, ბავშვივით ლაპარაკობდა.

ჩემში ლოგოპედმა იძალა და ნაცნობს ვუთხარი, რომ პატარები ჩვენგან სწავლობენ ლაპარაკს, როგორც ჩვენ ვილაპარაკებთ, ისე ალაპარაკდებიან ისინიც და ამიტომაც ბავშვებს კარგი ქართულით, ოდნავ დინჯად უნდა ველაპარაკოთ-მეთქი.

ახლა კი შეწუხდა ჩემი ნაცნობი: — ეშველება რამე ბავშვსო? — შემეკითხა და მოთმინებით დაელოდა პასუხს.

— ეშველება, როგორ არ ეშველება და ძალიან ადვილადაც.

— აბა დააკვირდი, როგორ წარმოვთქვამთ სისინა (ს, ზ, ც, წ, ძ) ბგერებს. ნაცნობმა წარმოთქვა ეს ბგერები, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული ბგერების წარმოთქმის დროს ენა ქვედა კბილებთან არის მოთავსებული, ხოლო ტუჩები განზეა გაწეული.

— აბა ახლა შიშინები (შ, ჟ, ჩ, ჭ, ჯ) წარმოთქვი, დააკვირდი, წარმოთქმის თვალსაზრისით, რით განსხვავდებიან შიშინები სისინა ბგერებისაგან?

ჩემ ნაცნობს არც ახლა გაჭირვებია შიშინების წარმოთქმისათვის დამახასიათებელი თავისებურებების აღნიშვნა, ის, რომ ამ ბგერების წარმოთქმის დროს ენა მაღლა არის აწეული, ტუჩები კი მომრგვალებულია და წინ წამოწეული.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველ ბგერას წარმოთქმის თავისი ადგილი აქვს. აღნიშნული ნაკლის დროს, იმის ნაცვლად, რომ ენის წვერი მაღლა ადიოდეს, დაბლა, ქვედა კბილებთან არის მოთავსებული, სწორედ ამიტომ შიშინების ნაცვლად ვიღებთ სისინა ბგერებს.

როგორ უნდა მივიღოთ შიშინა ბგერები?

ბავშვს ენის წვერს ავაწევინებთ ზედა კბილებისაკენ, წარმოვათქმევინებთ ს ბგერას — მივიღებთ შ-ს, ასევე ზ-საგან ჟ-ს, ც-საგან ჩ-ს, წ-საგან ჭ-ს და ძ-საგან ჯ-ს.

ენა ბავშვს ზედა კბილებისაკენ უნდა ავაწევინოთ ასანთის ღერის, ან თავისივე შუა თითის დახმარებით.

შეგვიძლია გამოვიყენოთ ლოგოპედიური სამარჯვებიც, მაგრამ რადგან რკინისაა და ცივია, ბავშვებს არ მოსწონთ ისინი.

როგორც აღვნიშნეთ, ენის ზედა კბილებისაკენ აწევით ს ბგერისგან მივიღებთ შ ბგერას, ბავშვს რამდენიმე დღე ვავარჯიშებთ მიღებული შ ბგერის იზოლირებულად, ცალკე წარმოთქმაზე. შემდეგ შ ბგერას ჩავრთავთ ღია და დახურულ მარცვლებში — შა, შო, შე, ში, აშ, ოშ, უშ, ეშ, იშ, ბოლოს კი — სიტყვებსა და წინადადებებში. შ ბგერის მიღების, მარცვლებსა, სიტყვებსა და წინადადებებში მისი ჩართვისა და გამოყენების შემდეგ მუშაობას გავაგრძელებთ სხვა შიშინა ბგერების მიღებასა და მათს მეტყველებაში ჩართვაზე ზემოთმოცემული რიგის მიხედვით. ჩვენ ამ წერილში წარმოთქმის მხოლოდ ერთ ნაკლოვანებაზე გავამახვილეთ ყურადღება. ბავშვის მეტყველება მშობლებისა და მთელი საზოგადოების დიდი საზრუნავი უნდა იყოს, რადგანაც უნაკლო მეტყველება ბავშვის ჰარმონიულად განვითარების, მისი ინტელექტის, მისი ფსიქოლოგიური შესაძლებლობების სრულყოფის საფუძველთა საფუძველია.

წერილის ავტორი სიამოვნებით უპასუხებს არასწორად მეტყველი ბავშვების მშობლების შეკითხვებზე. თუ შესაძლებელია მშობელთა პედაგოგიზაცია, შესაძლებელია მათი ლოგოპედიზაციაც, მათთვის ლოგოპედიური ცოდნის მინიმუმის მიწოდება, რათა თვით მშობლებმა შეძლონ თავიანთი შვილების სამეტყველო ნაკლოვანებათა გამოსწორება.

**ალბერტ ქელბაქიანი,**
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის დეფექტოლოგიის სექტორის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნატიფი მედალიონები



# მერი შელი

მერი შელი — იშვიათი სინატიფისა და ქალური მომხიბლაობის განსახიერება, თანამედროვენი მას ანტიკური ხელოვნების ნიმუშს, კლიტეას ადარებდნენ.

მერი შელი — ოქროსფერთმიანი ჰაეროვანი ნაზი არსება, მარმარილოსავით თეთრი მხრებით, ულამაზესი ხელებით და დიდი შინაგანი კულტურის გამომხატველი სანდომიანი ნატიფი სახით.

ასეთი იყო გენიალური ინგლისელი პოეტის, პერსი ბიში შელის მუზა, სატრფო, უსაყვარლესი მეუღლე და მეგობარი, ქალი, რომლის პიროვნებაშიც შელი პოულობდა ყველაფერს, რაც მას სწყუროდა...

შელი მოხიბლა მერის დიდმა განათლებამ. ის სრულყოფილად ფლობდა ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ბერძნულ და ესპანურ ენებს.

პოეტი მეგობრებს ეუბნებოდა: „დაე ყველამ, ვინც მე მიცნობს, იცოდეს, რომ ჩემი ცხოვრების თანამგზავრი იქნება მხოლოდ ის, ვინც იგრძნობს პოეზიას და გაიგებს ფილოსოფიას".

ის ფაქტიც, რომ მერი იყო შელის ორი კერპის, ცნობილი პიროვნებების — მერი უოლსტონკრაფტისა და უილიამ გოდვინის ქალიშვილი, მას შელის თვალში განსაკუთრებით მიმზიდველს ხდიდა. მერის მშობლები — ეს ორი პოლიტიკური მეამბოხე, ფილოსოფოსი და მწერალი, ქალთა ემანსიპაციისათვის და ადამიანის უფლებებისათვის აქტიური მებრძოლი, საყოველთაოდ ცნობილი დიდი პიროვნებები იყვნენ.

„მისის შელი საოცრად ნიჭიერი ქალი, მართლაც წარმოუდგენელია, რომ არ იყოს მერი უოლსტონკრაფტისა და უილიამ გოდვინის ქალიშვილი და შელის მეუღლე, არც შეიძლებოდა ჩვეულებრივი პიროვნება ყოფილიყო", — წერდა ლორდ ბაირონი.

მერის და შელის სიყვარულს არც ოჯახი და არც საზოგადოება არ თანაუგრძნობდა, მაგრამ შეყვარებულთათვის ეს არ აღმოჩნდა დაბრკოლება. 1814 წლის 27 ივლისს მერი ფარულად სტოვებს მამისეულ სახლს და პერსი ბიში შელისთან ერთად სამოგზაუროდ მიდის საფრანგეთში, შვეიცარიასა და გერმანიაში. მათი ცხოვრების ეს დაუვიწყარი პერიოდი შელიმ უკვდავყო თავისი პოემის, „ისლამის აჯანყების" შესავალში, ამ პოემის გმირი ქალი ციტნა მერის იდეალური სახეა. მათი ბედნიერება უსაზღვრო იყო. მათი სიყვარულის ტრიუმფი სიმბოლურად გამოსახულია მათ მიერ დაწერილ „ექვსკვირიან მოგზაურობაში", შელის დაუმთავრებელ ნაწარმოებში „აზაზინები" და მერისადმი მიძღვნილ ლექსებში.

მერის წილად ხვდა ბედნიერება, თავდავიწყებით ჰყვარებოდა იშვიათ პიროვნებას, გამორჩეულს დიდი ნიჭით, შინაგანი სიწმინდით, ჰუმანურობით და ძლიერი ნებისყოფით.

ცხოვრების მკაცრმა გამოცდამ ცხადყო მერისა და შელის სიყვარულის სიმტკიცე, მათი სიყვარულის სიხარულთან მოჰყვა დიდი სიმწარეც, საზოგადოებისაგან დევნა, შელის პირველი ცოლის თვითმკვლელობა, შელისათვის მამობის უფლების ჩამორთმევა, მერის დის თვითმკვლელობა და ბოლოს, ყველაზე საშინელი უბედურება — მერისა და შელის სამი მცირეწლოვანი შვილის დაღუპვა. ამ პერიოდში მერისადმი მიძღვნილ პოეტის ლექსებში ასახულია მათი ცხოვრების ტრაგიკული მომენტები, შვილების დაკარგვით გამოწვეული მძიმე განცდები.

რვა წლის განმავლობაში მერი და პერსი ბიში განუყრელნი იყვნენ, ერთმანეთს ავსებდნენ, ერთმანეთის სიახლოვით სრულყოფდნენ თავიანთ ცოდნას. მკვლევარნი და ლიტერატურის კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავდნენ: „მერი შელიმ ბევრი რამ გააკეთა თავისი მეუღლის პოეტური ძალის განსავითარებლად. მერი გოდვინთან ყოფნა შელისათვის დიდი სტიმული იყო. ამ პერიოდში მან შექმნა პოეზია, პროზა და პოეტური დრამები, რომლებმაც მას ინგლისელ მწერალთა შორის საპატიო ადგილი დაუმკვიდრა". თავის მხრივ შელიმ მერის არსებაში აანთო შემოქმედებითი ნაპერწკალი, რომელსაც მისივე გენია ასაზრდოებდა.

1822 წელს პერსი ბიში შელი ზღვაზე დაიღუპა ამით დამთავრდა მერის მეტად საინტერესო, მჩქეფარე და, როგორც თვითონ ამბობს, „ყოველგვარ რომანტიკულზე უფრო რომანტიკული ცხოვრება". მერის შელის სიყვარულის ნიშნად დარჩა მისდამი მიძღვნილი ლექსები და კრემაციის წინ ლორდ ბაირონის ხელით შელის მკერდიდან ამოღებული გული, რომელსაც მთელი სიცოცხლე მერი სათუთად ინახავდა. მერის გარდაცვალების შემდეგ შელის გული მის ვაჟთან, პერსი ფლორენსთან ერთად დაასაფლავეს.

მერი სრულიად ახალგაზრდა, 25 წლისა დაქვრივდა. მის თაყვანისმცემელთა შორის იყვნენ პროსპერ მერიმე, დრამატურგი ოვარდ პეინი, მწერალი ირვინგ უოშინგერონი... მერის ძალიან უჭირდა ცხოვრება მამაკაცის მხარდაჭერის გარეშე, მაგრამ იგი ბოლომდე შელის ერთგული დარჩა.

მერი შელიმ განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ინგლისელ მწერალთა შორის... ის 6 რომანის, მოთხრობების, ესეების, ცნობილ პიროვნებათა ბიოგრაფიების და ლექსების ავტორია, ინგლისური ლიტერატურის ისტორიის მრავალტომეულის იმ ნაწილში, სადაც საშინელებათა რომანზეა ლაპარაკი, მერი შელის შესახებ ნათქვამია: „ქალი იყო ის, ვინც ლიტერატურის ამ სახეობაში შექმნა პირველი გენიალური ნაწარმოები — „ფრანკენშტეინი, ანუ თანამედროვე პრომეთე".

1818 წლიდან მოყოლებული „ფრანკენშტეინი" ცოცხლობს შესანიშნავ გამოცემებში, თეატრალურ დადგმებში, სატელევიზიო ფილმებში. ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე. გადაღებულია ასამდე ფილმი. მსოფლიო კინოს სარეკორდო ცხრილში მეორე ადგილი უკავია.

ფრანკენშტეინის მონსტრი მთელი თაობების მწერალთა ფანტაზიას ასაზრდოებს. იგი ხელოვნური ადამიანის, რობოტის წინაპარია.

მწერალმა ქალმა თავის საუკუნეს გაუსწრო. თანამედროვე ფანტასტი მწერალი ბრაინ ოლდისი ქედს იხრის მერი შელის წინაშე, რადგან იგი მიაჩნია პირველ მწერლად, ვინც კაცობრიობა გააფრთხილა საშინელი მონსტრის შექმნის საშიშროების შესახებ"...

ნანა კოპალეიშვილი-დარჩიაშვილი



# სასჯელის მოლოდინში

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელთა აღსრულების მთავარი სამმართველოს ქ. თბილისის № 1 საგამომძიებლო იზოლატორი.

აქ პატიმართა მოხვედრა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მათი ბედით დაინტერესებული ადამიანებისა, ვინც ქვის ცივ კედლებში გამოჭრილი სარკმლის წინ მოთმინებით ელოდება უსაშველოდ გრძელი რიგის გასვლას პატიმრისათვის მცირე ულუფის გადასაცემად.

— შვილო, რამდენი უნდა პატიმართან წერილის შეგზავნას? — გზას მილობავს შეწუხებული მოხუცი და ჩემი პასუხის მოლოდინში შეკითხვას რამდენჯერმე მიმეორებს.

— როდის მოგთხოვათ ვინმემ რაიმე, ქალბატონო, — ცნობათა ბიუროს ღია სარკმლიდან უპასუხებს მომსახურე და საშვს მაწვდის.

ჩემს წინ რკინის გისოსებიანი კარებები ზედიზედ იღება.

საგამომძიებლო იზოლატორის უფროსი ჯიმშერ ბაწაშვილი გულთბილად მიღიმის და თითქოს მძიმე ტვირთი ჩამომხსნესო, ერთგვარ შვებას ვგრძნობ.

როგორც საუბრიდან ირკვევა, ამ პოსტზე ბატონი ჯიმშერი სულ ცოტა ხნის დანიშნულია, თუმცა აქაურ კლიმატსა და ატმოსფეროს კარგად იცნობს, ოთხი წლის წინათაც უმუშავია ამ თანამდებობაზე. გულისტკივილით ჩამოთვლის ყოფილ პატიმართა ნაცნობ გვარ-სახელებს. ის კი არა და, ერთ დროს გახმაურებული ქორწინების მეჯვარეობაც გაუწევია.

მას შემდეგ ხუთჯერ შეუცვლიათ აქტიური უფროსი. ეტყობა, არც ისე ადვილია ამ თანამდებობის „მორგება". მოგვიანებით კი, როცა იზოლატორში მყოფ ქალებს შევხვდი, მის ჰუმანურობასა და კეთილსინდისიერებაზე ერთმანეთს არ აცლიდნენ საუბარს, როგორც ჩანს, ახალ უფროსზე საკმაოდ მოუგროვებიათ ყურმოკრული ცნობები.

იოლი როდია პატიმარ ქალებთან შეხვედრა და გარკვევა რისთვის მოხვდნენ აქ, რას განიცდიან, რა პირობებში ცხოვრობენ, ხომ არ აქვს ადგილი გამოძიების პროცესში რაიმე ზეწოლის ან იძულების ფაქტებს, რა უფლებებით სარგებლობენ და, რაც მთავარია, გრძნობენ თუ არა თავს დამნაშავედ?

მათთან შეხვედრამდე გამახსენდა გურამ ფანჯიკიძის სიტყვები, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის უფროსს ბატონ სანდრო კავსაძეს რომ მიმართა ერთ-ერთი ტრიბუნიდან; კარგია, რომ პატიმართა ბედითა და მათი უფლებებითა ხართ დაინტერესებული, მაგრამ იმათ მდგომარეობაზე თუ დაფიქრებულხართ, ვინც მათი გაუმართლებელი საქციელის მსხვერპლი შეიქმნაო.

ღმერთმა ნუ ქნას, ასე რომ არ იყოს, მაგრამ იმათაც ხომ შველა და დახმარება უნდათ, ვინც ამა თუ იმ მიზეზით სწორ გზას აცდა, დანაშაული ჩაიდინა და ამის გამო საზოგადოებიდან იზოლირებული აღმოჩნდა. მით უმეტეს, როცა ეს დანაშაული ქალის მიერაა ჩადენილი.

დღევანდელმა გაუკუღმართებულმა ცხოვრებამ დანაშულებათა ახალ-ახალი სახეობებისაკენ უბიძგა მავანთ, რასაც, სამწუხაროდ, ვერც ქალები გადაურჩნენ. კორუფცია, ეკონომიკური დანაშაული, თაღლითობა, ყაჩაღური თავდასხმა, ნარკომანია, ნარკოტიკების გავრცელება და სხვა დანაშაულობები დამნაშავეთა ჩვეულებრივ საბრალდებო ნუსხად იქცა. და რაოდენ დასაფიქრებელია, როცა მარტო დასახელებულ იზოლატორში დღესდღეობით 72 ქალი ელოდება სასჯელს, განაჩენს.

ამას კოლონიაში უკვე მყოფ და გასამართლებულ ქალთა რიცხვს თუ დავუმატებთ, შემაშფოთებელი სტატისტიკა გამოვა.

დანაშული მოხდა, დამნაშავე დაკავებულია. ახლა მთავარია გამოძიების სწორი გზით წარმართვა. აქ კი პროფესიონალებმა უნდა თქვან თავიანთი ობიექტური და მიუკერძოებელი სიტყვა, რომ არც მომჩივანი დაზარალდეს მეტად და არც ბრალდებული. ამ შემთხვევაში დაშვებული შეცდომა უფრო საბედისწეროა, ვიდრე თვით დანაშაულის ფაქტი.

...რეჟიმის უფროსს ოთახში რამდენიმე პატიმარი ქალი შემოჰყავს. ვუმზერ მათ სახეებს და მიკვირს, როგორ შეიძლებოდა, ამ სათნო და მშვენიერი გარეგნობის მანდილოსნებს დანაშაული ჩაედინათ. ეს ერთი შეხედვით, თუმცა შემდეგაც, როცა ჩვენს შორის საკმაოდ გულახდილი საუბარი წარიმართა, მიჭირს მათ მსჯელობასა და დახვეწილ მეტყველებაში რაიმე კორექტივის შეტანა.

ირმა ს. ორი შვილის დედაა, პროფესიით ისტორიკოსი. წინასწარი ბრალდებით ირმა სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლითაა დაპატიმრებული, (თაღლითობა) დაუმტკიცდება თუ არა წაყენებული ბრალდება, ალბათ, გამოძიება დაადგენს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ პატიმარს გამომძიებლისა და საგამომძიებლო სამსახურის უფროსის მიმართ საკუთარი პრეტენზიებიც გააჩნია: მოვუსმინოთ მას: — ჩემი თხოვნაა, გამოძიება სწორი გზით წარიმართოს, გაგვარკვიონ ჩვენს უფლებებში, დაგვაყენონ სიმართლის გზაზე. ნუ მოგვთხოვენ ისეთ რამეს, რაც ჩვენს ძალებს აღემატება. ნუ წაგვართმევენ იმ უფლებებს, რაც პატიმარს სახელმწიფო კანონით აქვს მინიჭებული.

ნანა ბ. ერთ-ერთი კომერციული ფირმის ყოფილი პრეზიდენტია, პროფესიით იურისტი. წინასწარი ბრალდებით გაფლანგვის მუხლითაა დაპატიმრებული. იგი თვლის, რომ გამოძიება სწორი გზით მიდის და ალბათ, სულ მალე მის სასარგებლოდ დასრულდება.

თამრიკო წ.-ს შვილის განსაცდელიდან დახსნის სურვილმა მძიმე დანაშაულისაკენ უბიძგა. წინასწარ პატიმრობაშია 152-ე მუხლის მეორე ნაწილით პირადი ქონების ყაჩაღობისათვის, რომელიც 6-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ერთი თვეც კი საკმარისი იყო, მთელი სიმწვავით მეგრძნო ჩემი დანაშაულის სიმძიმეო, — გულისტკივილით ამბობს ახალგაზრდა ქალი და

ძნელია ეჭვი შეგეპაროს მისი ნათქვამის სიწრფელეში.

პატიმრებთან საუბრისას ერთი რამ უდავოდ გამოიკვეთა: ყველა მათგანი ერთსულოვანია № 1 საგამომძიებლო იზოლატორის ადმინისტრაციის მიმართ. იქაური პირობები სავსებით აკმაყოფილებთ, არ გრძნობენ თავს დაჩაგრულად, პირიქით, მადლობას გამოთქვამენ გულისხმიერი მოპყრობისა და თანადგომისათვის. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ დღევანდელი პირობები მათთვის ბევრად უფრო ჰუმანურია და დიდად განსხვავდება ადრინდელისაგან. აქვთ პრესისა და ტელეგადაცემათა გაცნობის საშუალება, პატიმართათვის განკუთვნილი საკვებიც არაა ურიგო. უკეთესს მოისურვებენ და თავად დაამზადებენ, არც ამას დაუშლის ვინმე. ქალები საკანსაც საკუთარი სახლივით უვლიან, მორიგეობით ალაგებენ, ახუფთავებენ. არ ივიწყებენ ქალურ ღირსებებს და ეს ბევრზე მეტყველებს. არც სამედიცინო მომსახურება აკლიათ. ერთ-ერთი მათგანი ახალ სიცოცხლეს ელოდებოდა დღე-დღეზე. კონსულტაციებს ადგილზე უწევდნენ, მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე კი სამშობიაროში წაიყვანეს. დედასა და ახალშობილს ადგილზე უქმნიან პირობებს — მათთვის ცალკე გამოყოფილ ოთახში. საზოგადოებისა და ოჯახური გარემოსგან მოწყვეტა და სასჯელის მოხდა არ არის იოლად გადასატანი, მაგრამ სიცოცხლე მაინც გრძელდება...

როგორც ახალი უფროსი ბატონი ჯიმშერ ბაწაშვილი თვლის, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და ქალთა დასაქმების საკითხს... კოლონიების მსგავსად, წინასწარი დაკავების იზოლატორშიც უნდა გამოინახოს წარმოებაში მათი ჩაბმის საშუალებები, რაც პატიმარსაც წაადგება და ქვეყანასაც.

და რაც ყველაზე უფრო მთავარია, უნდა გადარჩეს რწმენა იმისა, რომ ისინი საზოგადოებისათვის საჭირო ადამიანები არიან; რომ მათ ელოდებათ ოჯახი და საკუთარი კერა, მოუთმენლად ელიან მშობლები, შვილები, რომ ღმერთისა და კაცის შეწევნით თავს მალე დააღწევენ ამ მძიმე განსაცდელს და განწმენდილნი დაუბრუნდებიან ცხოვრების მართალ გზას, რამეთუ, „უფალი შემწეა ყველა დაცემულისა და გამმართავი ყველა წელში მოხრილისა... ახლოა უფალი ყველა მის მლოცველთან, ყოველთაგან, ვინც მას მოუხმობს ჭეშმარიტებით".

**ნუნუ კუპრეიშვილი**

## ფენომენი



# „წუხელის ღმერთი მეწვია სტუმრად"

ასეა დასათაურებული ლექსების პატარა წიგნი, რომლის ავტორი მომდევნო სტრიქონებში ამბობს: „...ოქროს სხივებით მოჭედილი გვირგვინი ედგა, ხელი მომკიდა, ამიყვანა, ზეცას ავფრინდით და ვარსკვლავებში დავიმალეთ ორივე ერთად". — სულმოუთქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ჩაიკითხავ კრიალოსანივით ასხმულ სტრიქონებს და შენს თვალწინ რაღაც ზღაპრული, გონების თვალით მიუწვდომელი ხილვები გაიელვებს.

ყური მივუგდოთ სხვა სტრიქონებსაც: — — **დილა ხის კენწეროებიდან შემოდიოდა სახლში, სიზნელეს აპობდა სითეთრე, რაღაც ცისფერში გადახვეული**". ან კიდევ: „**ღამემ სიჩუმით დახუჭა თვალი, ბალიშს მიანდო თავის ფიქრები**". მშვენიერი პოეტური სტრიქონებია და როგორც მისი ავტორი, ერთ-ერთ ლექსში წერს, ეს თეთრ მძივებად აცმული რითმები მისი სულის პატარა ნაწილია, რომელსაც ვერავინ წაართმევს.

„...ჩვენ, ცოდვებით დამძიმებულებს, მიწიურ არსებებს ბედნიერება გვერგო, ანგელოზის თვალით ნანახი, მის უნათლეს გონებაში წარმოსახული არაამქვეყნიური სილამაზე ვიხილოთ", წერს პოეტი ემზარ კვიტაიშვილი წიგნის წინასიტყვაობაში.

და ცოტა ქვემოთ: როცა ეს წიგნი გამოვა, მარიამ სიხარულიძე რვა წლის იქნება.

წიგნი 1995 წლითაა დათარიღებული. ახლა მარიამი თბილისის 165-ე სკოლის მესამე კლასის მოსწავლეა, ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული თანატოლებისაგან. ნაზი, ფერმკრთალი, სევდიანი სახითა და ფიქრიანი თვალებით. ეს სევდა და ფიქრი ირეკლება სწორედ მის საოცრად ლამაზსა და ფაქიზ სტრიქონებში.

**„ლექსს როდის ვამბობ? — როცა სულში შემოფრინდება ათასნაირი სიტყვების გროვა და ამ პატარა გულის სიღრმეში ჩამექსოვება აკინძული სტრიქონთა წყება"** — ამბობდა ხუთი წლის მარიამი.

პატარა პოეტს უყვარს ბუნება, ადამიანები და ცხოველები. ებრალება ჩიტი, რომელიც ვიღაცამ მოკლა, ხე, რომელსაც ფოთლები დასცვენია და გაშიშვლებული დგას, მაწანწალა ძაღლი, რომელიც პატრონმა სახლიდან გამოაგდო... უთანაგრძნობს ბავშვს, რომელიც იმ დიდ თეთრ ბაღში გზისკენ მაცქერალი ცრემლიანი თვალებით დაეძებს დედას...

აფხაზეთის ომი მისი ლექსების მტკივნეული თემაა. ეკრანიდან უყურებს, როგორ კლავენ ბიჭებს, ესიზმრება ბავშვები, რომლებიც ზღვაში იძირებიან, გონების თვალით ხედავს ორად გახლეჩილ და ცრემლების ზღვაში ჩაძირულ საქართველოს და მუხლმოდრეკით ითხოვს შველას. „გევედრებით, დაჩოქილი გეხვეწებით, აღადგინეთ დანგრეული საქართველო ჯვარით ხელში... თქვენი ლოცვით აღადგინეთ ჩვენი ძველი აფხაზეთი", — სასოებით მიმართავს „ბაბუ-კათალიკოსს".

მისი სუფთა და ფაქიზი სული ვერ ეგუება სიცრუეს, გაუტანლობას: „ნუ მომატყუებთ, ჯობია, რომ სიმართლე მითხრათ, თორემ ტყუილი ფარდას კერავს მე და თქვენს შორის. და თუ ფარდაზე დაიხატა შავი ლაქები, ვეღარ ამოშლის თვით სიმართლის დიდი თვალები".

„დიდი პოეტები ვერა, დამწყები პოეტები მაოცებენ ხოლმე, საიდან მოდიან? საით მიდიან? რა აქვთ ჩაფიქრებული, იქნებ, არც არაფერი?

ასე მაოცებს, სინათლე თვალშეუდგამი, მისთვის რომ არა ჩანს...

რატომ მოკალი ჩიტი,
რა დაგიშავა, ძია?
თავისთვის იჯდა თოვლში,
შეციებული ჩანდა.

ნუთუ მართლა ჩიტზეა დაწერილი ეს ლექსი, შეციებულ ჩიტზე? არა, ბატონებო, ჩიტი აქ არაფერ შუაშია, მე ჯერ არსად წამიკითხავს ერთტაეპიანი ლექსი, სადაც ასეთი სიმძაფრით იყოს დატუქსული აგრესია, ბოროტება...

ღმერთო, შენ გაუზარდე პატარა მარიამი, მარიამ ღვთისმშობლისწილ საქართველოს!". ჯანსუღ ჩარკვიანი.

„წინასწარმეტყველება სარისკოა, მაგრამ, ვინ იცის, წლების და წლების შემდეგ გაზეთ „თბილისს" საამაყოდ ჰქონდეს, რომ მარიამ სიხარულიძეს გზა პირველმა მან დაულოცა", — ამას იოსებ ჭუმბურიძე აწერს ხელს — წიგნის რედაქტორი, და იქნებ „საქართველოს ქალსაც", ეამაყებოდეს, რომ გააცნო ჩვენს მკითხველს რვა წლის მარიამ სიხარულიძის საოცარი ლექსების პატარა კრებული.

წიგნი მარიამ ღვთისმშობლისადმი აღვლენილი ლოცვით მთავრდება: **„ო, მარიამ ღვთისმშობელო... სანთლით ხელში გეხვეწები, პირჯვრისწერით გთხოვ, მოგვაშორე დიდი ტანჯვა, დაგვიფარე შენ"**.

და მართლაც, როგორც ემზარ კვიტაიშვილი ამბობს: „...ჩვენ ყველანი ამ ღვთაებრივი გოგონას ცრემლში განბანილმა ლოცვამ უნდა გადაგვარჩინოს".

ნუნუ მაღრაძე

❋ ❋ ❋ ❋ ❋

მარიამ სიხარულიძე

## ბაბუ-კათალიკოსს

გევედრებით,
დაჩოქილი გეხვეწებით,
აღადგინეთ დანგრეული საქართველო,
ჯვარით ხელში.
ეკლესიის ნათელ კედლებს
ნუ დაანგრევს მტერი ჩვენი,
ნუ გაუშვებს სამათხოვროდ
ხელებგაწვდილ ბავშვებს ღმერთი,
გევედრებით, უნეტარეს, გევედრებით,
გარდასახეთ კურთხეული ჯვარი თქვენი,
თქვენი ლოცვით აღადგინეთ
ჩვენი ძველი აფხაზეთი.

1993 წ.

## ღრუბლის ფრთაზე გამეღვიძა

ღრუბლის ფრთაზე გამეღვიძა,
თავქვეშ ხელი ამომედო,
გვერდით მთვარე ბადეს ქსოვდა,
ოქროს ხვივში ამოევლო.
გამიკვირდა, მზე არ ჩანდა,
ვაზშმად სადღაც წასულიყო
და მის ნაცვლად ვარსკვლავები
ყველა ცაში ასულიყო.
ღრუბელ-ღრუბელ წამოვედი,
კიბე სადღაც გამქრალიყო,
მთვარისა და დედამიწის
შუა ხიდი ჩამტყდარიყო.

1993

* * *

ო, მარიამ ღვთისმშობელო,
გევედრები მე,
მოგვივლინე სიკეთე და
სიხარული ჩვენ,
გადმოფინე მადლი დიდი
ჩემს ქვეყანას შენ,
ო, მარიამ ღვთისმშობელო,
შობის დღეა დღეს.
დაგვილოცე ჩვენი მიწა,
ჩვენი ხალხი დღეს,
სანთლით ხელში გეხვეწები,
პირჯვრისწერით გთხოვ,
მოგვაშორე დიდი ტანჯვა,
დაგვიფარე შენ.

1994

# საფრანგეთის პირველი ქალბატონი



## შტრიხები ბერნადეტ შირაკის პორტრეტისათვის

რა შეიძლება ითქვას ბერნადეტ შირაკზე? — ალბათ ძალიან ბევრი, რადგან მთელი მისი შეგნებული ცხოვრება ჟაკ შირაკთან არის დაკავშირებული.

ჟაკ შირაკი, ბერნადეტის თქმით, „არის ისეთი პიროვნება, რომელსაც უნდა მიჰყვე. „ის ნამდვილი ლოკომოტივია, მე კი ვაგონი, რომელიც მას მიჰყვება“. მიუხედავად ქმრისადმი ასეთი დამოკიდებულებისა, ქალბატონი შირაკი უნებისყოფო და ადვილად მოსადრეკი არ გეგონოთ. მას მიღებული აქვს შესანიშნავი განათლება, ბრწყინვალე პროფესიონალი, გულისხმიერი, სხვათა პრობლემების გამზიარებელი, მზრუნველი დედა, შეყვარებული მეუღლე და ოჯახის დიასახლისია.

ისევე როგორც ადამიანთა უმრავლესობას, ღმერთმა მასაც მძიმე ტვირთის ზიდვა არგუნა ბედად. მისი უფროსი ქალიშვილი კარგა ხანია მძიმედ არის დაავადებული (ამ ფაქტს ფრანგი ჟურნალისტები მაინცდამაინც არ ახმაურებენ), მაგრამ მიუხედავად ამისა, მის წუწუნს ვერ გაიგონებთ, რაც იმითაც არის განპირობებული, რომ ბერნადეტი ღრმად მორწმუნეა, რეგულარულად დადის ეკლესიაში.

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ფრანგი ჟურნალისტები ინტერვიუს ასაღებად ბერნადეტს პარიზის მერიაში ეხტუმრნენ. გულთბილი, უშუალო საუბრისას, ბერნადეტს თვალები ეშმაკურად აუციმციმდა (აღსანიშნავია, რომ მას საოცრად თბილი, მგრძნობიარე, ლამაზი თვალები და მომხიბლავი, ღიმილიანი გამოხედვა აქვს) და იკითხა: უმჯობესი ხომ არ იქნებოდა წავსულიყავით და ჩემი დედოფლის დიადემით მოგვლინებოდით. ფოტოკორესპონდენტმა შეხედა ქალბატონ შირაკს და სთხოვა, უმჯობესი იქნებოდა მაკიაჟისათვის მიგექციათ ყურადღება. ჩემთვის მთავარია, სურათზე რაც შეიძლება მომხიბლავი გამოვიდეთ, ამას კი მაკიაჟი სჭირდებაო. ბერნადეტმა სასტიკი უარი განაცხადა (ვინაიდან ის მაკიაჟით არასოდეს სარგებლობს), სამაგიეროდ ხუმრობით უსაყვედურა: ძალიან მიკვირს, ერთადერთი, რაც ლამაზი მაქვს, ფეხებია, თქვენ კი თითქოს განგებ, ყოველთვის წელს ზემოთ მიღებთ სურათსო.

ქალბატონ შირაკს ძალიან უყვარს ხუმრობა, შესანიშნავი იუმორით ყვება საინტერესო ისტორიებს თავისი ცხოვრებიდან და მშვენივრად ბაძავს ცნობილ პიროვნებებს. ჟაკ ლანგი, (მიტერანის უახლოესი ადამიანი, ყოფილი კულტურის მინისტრი) აღტაცებული ამბობდა: გაკვირვებული დავრჩი ქალბატონ შირაკთან ურთიერთობისას, რა მომხიბლავი და საინტერესო პიროვნება ყოფილა. ვერასოდეს ვიფიქრებდი თუ ამდენი შარმი იქნებოდა ამ პიროვნებაში.

საინტერესოა, როგორ აღწერს ბერნადეტ შირაკი პირველ შეხვედრას ჟაკ შირაკთან, რომელიც სიანს პო-ში მოხდა. სიანს პო — ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელია საფრანგეთში, რომლის კურსდამთავრებულები, როგორც წესი, ხდებიან პოლიტიკური პარტიების მეთაურნი, უდიდესი საზოგადოების პრეზიდენტები, ბრწყინვალე საზოგადო მოღვაწენი, ცნობილი პოლიტოლოგები, ფილოსოფოსები, და ა. შ. აი, რას იგონებს ბერნადეტ შირაკი: „ალბათ ბედისწერა იყო, მე და ჟაკი პირველსავე წელს ერთ ჯგუფში აღმოვჩნდით“.

ბავშვობიდან ძალიან მორცხვი ვიყავი. ეს კომპლექსი რომ დამეძლია, გადავწყვიტე ჯგუფიდან პირველს გამეკეთებინა მოხსენება — რეფერატი, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვდა ჩემგან, რადგანაც ჯერ მხოლოდ ჩვიდმეტი წლის ვიყავი. საკითხი საკმაოდ სერიოზული გახლდათ, ამიტომ ზღვა მასალა უნდა დამემუშავებინა, რომ არ შევრცხვენილიყავი, დღე და ღამე ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი. ერთხელ, მუშაობის დროს ჩემს წინ აღიმართა ძალიან სიმპათიური ახალგაზრდა ყმაწვილი. „მადმუაზელ, მინდა შევქმნა პატარა ჯგუფი, რომელიც ჩემი მეთოდით იმეცადინებს. გავიგე, რომ თქვენ აპირებთ პირველმა გააკეთოთ მოხსენება. ხომ არ შემოუერთდებოდით ჩვენს ჯგუფს, რომ ერთად ვიმეცადინოთ?“ გულში გავიფიქრე, ნეტა რა უნდა ამ ტიპს, სად მცალია სისულელეებზე დროის გასაცდენად, ისედაც არ ვიცი, თავი როგორ დავაღწიო პირველ საჯარო გამოსვლას! მიუხედავად ამისა, უარი ვერ ვუთხარი, დავეთანხმე, ჩემმა სიმორცხვემ არ მომცა უარის თქმის უფლება“.

ისტორია ამით დაიწყო. ბერნადეტი სწავლის პერიოდში ყოველთვის მორიდებული იყო, ჟაკი კი პირიქით, შემტევი, სწრაფი და საოცრად ორგანიზებული. სიანს პოში, ყველა — ოთხასივე სტუდენტი იცნობდა ჟაკ შირაკს. „ის იყო ძალიან სიმპათიური, მხიარული და საინტერესო პიროვნება“, — ასე იხსენებს მარი-ტერეზ ფრანსუა პონსე, მათი თანაკურსელი და მეგობარი — „სამაგიეროდ ბერნადეტი ისეთი მორცხვი და არისტოკრატიული იყო, რომ ამით იპყრობდა ყურადღებას. ხშირად ვხედავდი ბერნადეტსა და ჟაკს ერთად, მაგრამ ვერაფერს ვამჩნევდი, შირაკი ხშირად სარგებლობდა ბერნადეტის კონსპექტებით, მაგრამ როგორც წესი, სწორედ ჟაკი ღებულობდა უმაღლეს ქულებს და არა ბერნადეტი“. ბერნადეტ შირაკის აზრით, ის და ჟაკი ერთად შესანიშნავ ალიანსს ქმნიდნენ — კარგად ავსებდნენ ერთმანეთს და შედეგიც ყოველთვის სახეზე იყო.

მესამე კურსზე გამოცხადდა მათი ნიშნობა. შარლონ დე კურსელის გვარს, რომლის წარმომადგენელიც გახლავთ ბერნადეტი, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ეს ერთ-ერთი უბრწყინვალესი საგვარეულოა საფრანგეთში. სხვადასხვა დროს მრავალმა მისმა წინაპარმა გამოიჩინა თავი თავდადებითა და გმირობით. საფრანგეთის სახელმწიფოს ძლიერების და დამოუკიდებლობის საქმეში საკმარისია დავასახელოთ ბერნადეტის ბიძა, რომელიც 1940 წლიდან გენერალ შარლ დე გოლის მარჯვენა ხელი იყო ფაშიზმთან ბრძოლაში და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. მრავალი მისი ნათესავი შეეწირა საფრანგეთის თავისუფლებას „რეზისტანსის“ წინააღმდეგობის რიგით ჯარისკაცად. მათი გვარი მინისტრსა და საზოგადო მოღვაწესაც ითვლის. ასე რომ, ბერნადეტი ღირსეული ოჯახიშვილიც გახლავთ სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად. არსებობს აზრი, ვითომდა შარლონ დე კურსელების ოჯახს დიდად არ ახარებდა ეს ქორწინება, ვინაიდან ჟაკი არც გვარიშვილობით გამოირჩეოდა და სერიოზულობაც აკლდა, მაგრამ ეს მართალი არ არის. შარლონ დე კურსელების არისტოკრატიული საგვარეულო აღფრთოვანებული დარჩა მომხიბლავი, განათლებული და სიცოცხლით სავსე პიროვნების შემოსვლით მათ დიდ ტრადიციულ ოჯახში. ეს იყო ახალი ნაკადის შერწყმა ძველთან.

ბერნადეტის ერთ-ერთი ბიძაშვილი იხსენებს, თუ რა მომხიბვლელები იყვნენ ბერნადეტი და ჟაკი ქორწინების დროს — ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი ახოვანი, ახალგაზრდა ყმაწვილი და საოცრად ნაზი და ნატიფი პატარძალი. თურმე მთელი საგვარეულოს ახალგაზრდობა ცდილობდა მათ დამსგავსებოდა რაიმეთი, ბერნადეტი და ჟაკი მათი კერპები გახდნენ. ჟაკი ნიშნობის შემდეგ ალჟირში წავიდა სამსახურში, სადაც ოცდაათი თვე დაჰყო. ომიდან გმირი დაბრუნდა, ვინაიდან მრავალჯერ გამოიჩინა თავი მამაცობითა და შეუპოვრობით.

რა როლს თამაშობს ბერნადეტ შირაკი ჟაკ შირაკის ცხოვრებასა და მის წინსვლაში? ალბათ არც თუ ისე უმნიშვნელოს. როგორც ყველა მოყვარული მეუღლის, ბერნადეტის ცხოვრებაც ჟაკის ცხოვრებითაა სავსე. აქედან გამომდინარე, ის არც მისი კარიერის მიმართ არის გულგრილი. „როდესაც საჭიროება მოითხოვს, ვცდილობ მაქსიმალურად დავეხმარო ჟაკს, მაგრამ მე ჩემი პრინციპებიც მაქვს. არც თუ ისე გულუბრყვილო და სუსტი არსება ვარ, რომლის მანიპულირებაც ადვილია“. ასე, მაგალითად, მან ულტიმატუმი წაუყენა თავის მეუღლეს, გაეკეთებინა არჩევანი მარი ფრანს გაროს, პიერ ჟუილს (შირაკის მრჩევლები 1989 წ. საარჩევნო კომპანიის პერიოდში, ცნობილი საზოგადო მოღვაწენი) და თავად მას შორის. ან ისინი, ან მე. განაცხადა ქალბატონმა შირაკმა, რადგანაც მისი აზრით, ეს ორი პიროვნება, მიუხედავად თავიანთი ნიჭისა და გამოცდილებისა, ვერ გამოადგებოდნენ მრჩევლებად მის მეუღლეს საპრეზიდენტო კომპანიის ჩასატარებლად. ჟაკ შირაკმა პოზიცია დათმო. ქალბატონმა შირაკმა გაიმარჯვა. ქალბატონი შირაკი კი ის ქალი არ გახლავთ, რომლის აზრს შეიძლება ანგარიში არ გაუწიო. როგორც მატინიონში (მინისტრთა კაბინეტი), ასევე პარიზის მერიაში მას ძალიან აფასებენ. მან ყოველთვის იცის, ვის რა აწუხებს, ვინ არის ავად, ვის სჭირდება მისი დახმარება, ასევე მუდამ მზად არის მეუღლის საშუალებით და დახმარებით გადაჭრას მრავალი პრობლემა, უბრალო პარიზელებს რომ აწუხებთ.

ექვსი წლის იყო ბერნადეტი, როდესაც მამა ომში წავიდა.

ბერნადეტმა ბავშვობა შრომაში, სწავლაში და ღვთისმსახურებაში გაატარა. ამიტომაცაა, რომ საკუთარი კეთილდღეობა მისთვის არასოდეს ყოფილა მთავარი, მისი უპირველესი საზრუნავი ჟაკია.

მისი ცხოვრება მხოლოდ ოჯახით არ შემოიფარგლება. 1967 წელს ბერნადეტ შირაკი სარანის (ჟაკ შირაკის მშობლიური ქალაქი) მუნიციპალიტეტის მრჩევლად აირჩიეს. ბერნადეტი ამჟამად ხელმძღვანელობს პონტ ნევის (ახალი ხიდი, ასე ეწოდა პარიზის უძველეს ხიდს) საზოგადოების პრეზიდენტად, რომელიც აწარმოებს აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გაცვლის მიზნით ახალგაზრდობის ჩამოყვანას საფრანგეთში. საზოგადოებრივი საქმე ქალბატონ შირაკს არასდროს აკლდა. თავის სამუშაო ოთახში, პარიზის მერიაში მის მაგიდაზე სამი სურათია: — გენერალ შარლ დე გოლის, პომპიდუსა და ჟაკ შირაკის. ეს ის სამი პიროვნებაა, რომელთაც ეთაყვანება ბერნადეტი, ხოლო მისი იდეალი პომპიდუს მეუღლე — უბრწყინვალესი ინტელექტუალი, ხელოვნების მეცენატი და მკვლევარი კლოდ პომპიდუ გახლავთ, რომელმაც ბერნადეტის შეკითხვაზე, როგორ მოქცეულიყო მომავალში, ახალ ამპლუაში, როგორც საფრანგეთის პირველი ქალბატონი, პასუხად მიიღო — „დარჩით ისეთი, როგორიც აქამდე იყავით“.

მანანა ჯიბლაძე



ფერენც ეხი
(უნგრეთი)

## მზრუნველი ქმრის მონოლოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერ გამიგია, რას უშრები ამ დროს, ჩემო ძვირფასო... გასაგებია, რატომაც ბუზღუნებ, სამსახურის შემდეგ შინ უამრავ საოჯახო საქმეს აკეთებ, მართლაც უსიამოვნოა: მე რომ ტელევიზორს ვუყურებ, ვკითხულობ, ანდა მძინავს, შენ მაშინ რეცხავ, ხარშავ, აუთოებ, ალაგებ... განა არ მებრალები, მაგრამ თვითონვე ხარ დამნაშავე! არ იცი დროის განაწილება...

— რატომ გიკვირს? ახლავე აგიხსნი ყველაფერს... საბრალო დედაჩემი გაიხსენე... თითქოსდა მასზე მღეროდნენ ძველად, „დამით ართავდა, დღისით რეცხავდა“... მითხარი, როდისმე დაგირთავს ღამით? არ დაგირთავს, საყვარელო, იმიტომ, რომ შენ უფრო იოლი და სამური ცხოვრება გაქვს.

ავილოთ თუნდაც გუშინდელი დღე. დილიდან საღამომდე იმიტომ ტრიალებდი, რომ კვირა იყო. საბრალო დედაჩემს კი ყოველდღე უწევდა ამდენი რამის გაკეთება.

დალაგებისათვის საბრალო დედაჩემს სულ ცოტა ორი საათი სჭირდებოდა. შენ კი იატაკის მაპრიალებელი და მტვერსასრუტი გაქვს. ესეც შენი საათნახევრის ეკონომია! ახლა საჭმლის კეთება... სად ჰქონდა დედაჩემს სწრაფადმხარშავი ქვაბები. შენ კი ორმოც წუთში ლობიო უკვე მზად გაქვს.

გარეცხვაო, ამბობ, უბრალოდ სასაცილოა! საბრალო დედაჩემს ამ საქმისთვის ექვსი საათი სჭირდებოდა. ცხადია, მას შენსავით სარეცხი მანქანა არ ჰქონდა, რითაც ოთხი საათის ეკონომიას აკეთებ. უკვე რვასაათნახევარი გამოდის. მაშასადამე, დედაჩემთან შედარებით რვასაათნახევარი დაზოგე. ახლა ვიანგარიშოთ, რომ იგი ოჯახისათვის პურს აცხობდა, ეს კიდევ ორი საათი: ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა: საპონსაც თვითონ ხარშავდა სარეცხისათვის. შენს განკარგულებაში კი უახლესი სარეცხი საშუალებებია.

საბრალო დედაჩემი!..

შენი წყენინება არ მინდა, ჩემო სიცოცხლევ, მაგრამ ალბათ გაგიკვირდება, თუკი შეგეკითხები: რას უშრები ამდენ დროს? ახლა ხომ ხედავ, რომ სულაც არაა უსამართლობა, როცა გთხოვ, ვიდრე ვკითხულობ, ფეხსაცმელი გამიწმინდეო. თორმეტი საათიდან ქმრისათვის ათი წუთის შეწირვა დიდი საქმეა?!

აი, ასე! ჩემი ძვირფასი დროიდან მთელ თხუთმეტ წუთს ვკარგავ, რომ ყველაფერი აგიხსნა, შენ კი ზეზეულად გძინავს! შენთან ლაპარაკს არავითარი აზრი არა აქვს! კეთილი ინებე და ყავა მომიდუღე, შენი მიზეზით საშინლად ავღელდი...

თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა



ქეთევან ქუჩუკაშვილი

# ლაზარე

მოთხრობა

ჩვენს სახლს რომ ქუჩიდან შეხედო, ბავშვის ნახატი გეგონება. ყველამ იმფრად შეღება კარ-ფანჯარა, როგორი საღებავიც იშოვა. ჩვენი სახლი ცხრასართულიანია, ჩვენ მეშვიდე სართულზე ვცხოვრობთ. მამაჩემს არც უფიქრია შეღებვა. ჩარჩოები წვიმისა და თოვლისაგან ჩაშავდა. ასე რომ, ამ აჭრელებულ სახლში ჩვენი სართული შავად შეღებილი გეგონება. ამ სახლში რომ გადმოვედით, კინაღამ გავგიჟდი; აქამდე შვიდ კვადრატულ ფიცრულში ვცხოვრობდით. მე და ჩემს ძმას ერთ საწოლზე გვეძინა. საწოლი ვიწრო იყო, მაგრამ ისე ვიყავით ერთმანეთზე მიკრული, ერთხელაც არ გადმოვარდნილვართ. მახსოვს, დიდი სიცხე მომცა, ჩემი ძმა, ლაზარე, მკოცნიდა, ხვალ ადგებიო და მეც მჯეროდა. ბინა რომ მისცეს მამაჩემს, გაოგნებული ვიდექი, სამზარეულოც გვქონდა, სააბაზანოც და კიდევ ორი ოთახი, ერთი მომცრო და მეორე — მოზრდილი. მამამ ორი ფიცარი ყუთზე გასდო სამზარეულოში და ზედ ლეიბი დააგო, ზამთარში ამ ოთახში არაფერი ემჯობინება და ზაფხულში ფანჯარა ღია შევხვაო. ჩვენი სამზარეულოს ფანჯარა ქუჩაში გადის და გრილი ნიავი არ გვაკლია. დიდი ოთახი სასტუმროდ დავალაგეთ. მომცრო ოთახში ჩემი და ჩემი ძმის გასაშლელი საწოლები გავმართეთ. როგორ მიკვირდა, რომ ახლა მარტო ვიწექი.

— ლუკა, ერთად უფრო კარგი იყო, არა?

მე წამოვხტი და ლაზარეს ლოგინზე ჩამოვჯექი.

— როცა ავად გახდები, ისევ ჩემთან გადმოდი, კარგი?

ლაზარემ რატომღაც არ მიპასუხა და მე ფეხშიშველა ფეხების ტყაპუნით გავიქეცი ჩემი საწოლისაკენ.

მამაჩემი ვაგონშემკეთებელ საამქროში მუშაობს. ამ რამდენიმე წლის წინ მარცხენა ხელი დაუზიანდა, რკინის მძიმე ნაჭერი დაეცა და ძვალი წვრილად დაემსხვრა. მართალია, თაბაშირის შემდეგ შეუხორცდა, მაგრამ ისე ვეღარა მუშაობს, თუმცა, რასაც აკეთებს, ისევ კარგად აკეთებს. გამომუშავებით კი ზედმეტის გამომუშავება აღარ შეუძლია. ამიტომ გვიჭირს. თუმცა ახლა ყველას უჭირს. სუფრაზე დედაჩემს სამი თავი ხახვი მოაქვს და იმდენ პურსა ჭრის, ნახევრად მაინც მოვიკლათ შიმშილი. ღამის სამ საათზე მიდის მამაჩემი პურის რიგში ჩასადგომად. თითქოს, ხელი მკრესო, მეც მეღვიძება. დედაჩემსაც არ სძინავს. ის ჩემს ძმაზე ფიქრობს, ლაზარეზე. ლაზარეს ველოდებით, დღე-დღეზე უნდა ჩამოვიდეს. თუ ინსტიტუტში შევა, მაშინ სტუდენტი ძმა მეყოლება. მე ლაზარეს დაფიქრებულ სახესა ვხედავ. ის თხელ რვეულში, რომელიც მე მივეცი, გრძელ ამოცანას იწერს დაფიდან.

გაკვეთილებს ფათიფუთით ვამზადებ, პირველად მე უნდა დავინახო სახლისკენ მომავალი ლაზარე. მინის კარს მამაკაცის ჩრდილი აეფარა, რატომ არ ვიფიქრე, რომ ლაზარე იყო?

— ლუკა!

ტუჩები მოადო ლაზარემ მინას, კარი ფართოდ გაიღო, სველი მაზარა მომეკრა ტანზე. ლაზარემ ავტომატი თავისი საწოლის ბოლოში დადგა. პირველად მაშინა ვნახე ავტომატი ახლო. რატომღაც, გულგრილად შევხედე ამ იარაღს, თუმცა, რაც ლაზარესთან იყო ხოლმე დაკავშირებული, ყოველთვის ძალიან მიზიდავდა. ავტომატი ახალი იყო, თითქმის უხმარი. ლაზარემ სამზარეულოს კარი მთლიანად ამოავსო. რა პატარა გამოჩნდა დედაჩემი, მხრებზე ძლივს მიაწვდინა ხელები. ახლა აღარ მახსოვს, იმ დღეს დედაჩემი ტიროდა თუ იცინოდა, დაამუნჯა სიხარულმა თუ პირიქით ენა ამოადგმევინა? მამაჩემიც დაიმალა ლაზარეს მკლავებში. ჩვენ ახლა ოთხნი ვისხედით სუფრასთან, ეს იყო ყველაზე ბედნიერი დღე ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენ გვეგონა, ეს ბედნიერი დღეები გაგრძელდებოდა. ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენი სადილის დამთავრებას რა უნდოდა, მამაჩემმა, სადილს მოვრჩით თუ არა, იკითხა:

— ეს ავტომატი ვისია?

ლაზარემ პასუხი ოდნავ დაუგვიანა.

— ჩემია!

მე მგონი, ლაზარესთვის მოულოდნელი იყო ეს კითხვა. დედაჩემს ღიმილი გაუქრა სახიდან. თუმცა საშიში ჯერ არაფერი იყო ამ კითხვაში. ამ კითხვისთვის არც მე მიმიცია მნიშვნელობა. მე მაშინ არ მიფიქრია, რომ ამ ავტომატთან ერთად უბედურება შემოვა ჩვენს ოჯახში, რომ ლაზარეს ჩამოსვლით ჩვენი ცხოვრება არ შეიცვლება, რომ სტუდენტი ლაზარე არ მიუჯდება სამზარეულოში ჩვენს პატარა მაგიდას და თხელ რვეულში არ ჩახედავს ფორმულას, რომელიც ცარცით აჭრელებული დაფიდან გადაიწერა. არა, მე თხელი რვეულის მიცემა არ დამჭირდება ლაზარესთვის.

— ხვალვე წაიღე და ჩააბარე, სადაც საჭიროა, სამუშაოდან რომ დავბრუნდები, ეგ აქ აღარ ვნახო.

ლაზარემ იცოდა, რასაც მამაჩემი იტყოდა, ბეჭდის დასმა აღარა სჭირდებოდა და თავი უსიტყვოდ დაუქნია. დილით ლაზარემ ხელი დაავლო ავტომატს და კარი გაიხურა.

მეორე დღეს სამზარეულოში ისევ ოთხნი ვისხედით, მე არავინ მამჩნევდა, დედაც და მამაც ლაზარეს შესცქეროდნენ. ლაზარე ჩემზე მეტად უყვარდათ ჩემს მშობლებს, თუმცა მე უმცროსი ვიყავი. ლაზარე იყო ჩვენი იმედი. მამამ ხელი გასწია და ლაზარეს ხელს დაადო.

— ჩააბარე ავტომატი?

ლაზარემ პასუხი ახლაც დაუგვიანა და თავისი ხელი გამოსწია მამის ხელიდან.

— ჩავაბარე, — ხმადაბლა მიუგო.

მამაჩემი დაფიქრდა და მერე დაჟინებით შეხედა ლაზარეს.

— აბა, ჯიბე ამოიცარიელე!

ლაზარე დანაღვლიანდა, თითქოს სუფრიდან ადგომა უნდოდა, რომ ეს ლაპარაკი აღარ გაგრძელებულიყო, მაგრამ უცებ გადაიფიქრა და მაგიდაზე დასტა ფული დადო. დედაჩემმა ამოიკვნესა. მე დედაჩემს შევხედე, რაღაცა ცუდი გველოდა.

მამაჩემი, თითქოს ერთ წუთში სხვა ადამიანად იქცა, ის ლაზარეს მოყვარული მამა აღარ იყო, სხვა კაცი იდგა პატარა სამზარეულოში და ის კაცი რაღაც დიდ დანაშაულს აბრალებდა ლაზარეს.

— მეორე ჯიბიდანაც ამოიღე, რაცა გაქვს.

ლაზარემ მეორე ჯიბიდანაც ამოიღო, რაცა ჰქონდა. არც მამაჩემს, არც დედაჩემს და მით უფრო მე არასოდეს არ გვენახა ამდენი ფული და ისიც ჩვენს ოჯახში.

— ახლა შენი ხელით დახიე ეგ ფული!

მამაჩემმა თეფში მიუწია ლაზარეს. ლაზარე ნელა და წვრილად ხევდა ფულს და ხახვის ფურცლებს აყრიდა.

მეორე დღეს ისევ ოთხნი ვისხედით ჩვენს მყუდრო სამზარეულოში, მაგრამ ჩვენს ოჯახში მყუდროება აღარ იყო. სუფრაზე უხერხულობა იგრძნობოდა და ამ უხერხულობის მიზეზი ლაზარე იყო. ლაზარე, ვის ჩამოსვლასაც ასე ველოდით.

საღამო ხანს ლაზარე მინის კართან იდგა, საიდანაც ამ ხუთი დღის წინ შემოვიდა და ქუჩას უყურებდა. იქვე ვიდექი, მაგრამ ის ჩემსკენ არ მობრუნებულა. ჩვენი სახლის გვერდით თეთრად შეღებილი ოთხსართულიანი სკოლა იყო. იმ სკოლაში ლაზარეს ნაცნობი გოგო ასწავლიდა. არ ვიცი, სკოლას ხომ არ გასცქეროდა? მაგრამ ახლა გვიანი იყო, სკოლიდან დაბალკლასელები თორმეტი საათისათვის უკვე შინ მიდიოდნენ და ან ლაზარეს ნაცნობ მასწავლებელ გოგოს ასე გვიან რა უნდოდა? მაგრამ მე ასე მგონია, ლაზარეს ფიქრები ახლო იყო ამ სკოლასთან, რომელიც ახლა სიბნელეში ძლივს მოჩანდა თეთრი ოთხკუთხედივით.

მეხუთე და მეექვსე საღამომაც მდუმარედ ჩაიარა სამზარეულოში. თითქოს, სალაპარაკო არ უნდა გამოგვლეოდა, ახლა კი პირმოკუმულები ვისხედით. იმ საღამოს ახლა მე ვიდექი მინის კართან. ამ დროს ის მასწავლებელი გოგო დავინახე. სკოლიდან გამოვიდა და თავისი სახლისაკენ გასწია. მინდოდა ლაზარესთვის მეთქვა, მაგრამ ლაზარე, იქნებ, არც კი წამომდგარიყო საწოლიდან და არც გაეხედა ქუჩაში, სადაც იმ გოგოს გრძელი და წვრილი ჩრდილი ეცემოდა გამხმარ ასფალტს.

ამ უსიამოვნო დღეებმა ორ კვირას გასტანა, კარგად მახსოვს, მთელი დღე გადაუღებლად წვიმდა, მინის კარიდან ნაწვიმარი ქუჩა მოჩანდა. მე ქუჩას გავცქეროდი და ლაზარეზე ვფიქრობდი. ძალიან მებრალებოდა, მამაჩემიც მეცოდებოდა, არ ვიცი, როგორ უნდა გამოსწორებულიყო მათი დამოკიდებულება. დედაჩემი გაოგნებული იყო. მე ცამეტი წლისა ვიყავი, მაგრამ იმ დღეებში რამდენიმე წელი მომემატა. რა მოგველოდა, არ ვიცოდი. ოღონდ, რაღაც გველოდა, რაღაცა უნდა შეცვლილიყო ჩვენს ცხოვრებაში. ეგებ, ლაზარეს შინიდან წასვლა უნდოდა სამუშაოდ და ამაზე ფიქრობდა, იქნებ, მამა ეცოდებოდა, რომ ამდენი უსიამოვნება მიაყენა და ეს არ აძინებდა ღამე? ხომ სხვანაირი იყო ლაზარე? დარწმუნებული ვარ, ამ ამბავში მამას კი არა, თავისთავს უფრო ამტყუნებდა და იტანჯებოდა. დედაჩემი და მამაჩემი სამზარეულოში ისხდნენ ლაზარეს მოლოდინში, მაგრამ ლაზარე არ ჩანდა. ამ ფიქრებში რომ ვიყავი, დროგი დავინახე. მედროგე და ლაზარეს ნაცნობი მასწავლებელი გოგო ერთ კორპუსში ცხოვრობდნენ. სწორედ ახლა უნდა გადაეხვია, მაგრამ დროგმა არ გადაუხვია. მართალი გითხრათ, უჩვეულო იყო, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. იქნებ, სკოლამ დაიქირავა და სკოლისთვის რამე მოიტანა-მეთქი, მაგრამ დროგი სკოლასაც გამოსცდა და პირდაპირ ჩვენი კორპუსისაკენ წამოვიდა. როგორ გამიკვირდა, როცა სწორედ ჩვენს სადარბაზოსთან გაჩერდა. მე კარი გავაღე და გადავიხედე, დროგზე რაღაცა იდო თუ ვიღაცა იწვა. იქნებ, მეზობელი გახდა ცუდად ქუჩაში და მედროგემ წამოიყვანა? მედროგე პირველ სართულზე მივიდა და ვიღაცას დაუძახა. ორი მეზობელი გამოვიდა. ისინი დროგთან გაჩერდნენ. ერთმა ხელი ამოსწია ჩემკენ, მედროგემაც ჯოხი ამოიშვირა. მე უცებ საშინლად შემეშინდა. კიბისკენ გავიქეცი, ლიფტში არ ჩავმჯდარვარ, ეზოში გავჩნდი. დროგზე ლაზარე იდო, მაგრამ რა თქმა უნდა, ცუდი არაფერი მიფიქრია.

— გადმოვიღოთ, ლუკა, — მითხრა მეზობელმა, მაგრამ ვიდრე ამას მეტყოდა, მე უკვე დროგზე ვიყავი და ლაზარეს თავი მუხლებზე მედო; როცა ლაზარეს გაყინული სახე ხელებში მეჭირა, არც მაშინ მიფიქრია, რომ მე ძმა აღარა მყავდა; ჩვენ ლაზარე დროგიდან გადმოვიღეთ, მე მხრებში ჩავჭიდე ხელები და უკან-უკან ავდიოდი კიბეზე. ჩვენი ბინის კარი ღია იყო და მეზობლები ტრიალებდნენ. რატომღაც არ დამახსომდა იმ საზარელ წუთებში არც მამაჩემი და არც დედა. მე ჩემი თავი მახსოვს და ლაზარე; იმ ფიცრებზე, რომლებზედაც მამაჩემი იწვა, ლაზარე ესვენა. ჩემი საწოლი და ლაზარეს საწოლი აეკეცათ და გაეტანათ. მინის კარიდან, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ ვიდექი, დღეს გაცრეცილი შუქი შემოდიოდა და ლაზარეს ჩვეულებრივი ფერი ედო, თითქოს, არც დაღლილი იყო, არც უკმაყოფილო, თითქოს, რაღაცაზე ფიქრობდა, მაგრამ ისე არა, თავის საწოლზე რომ იჯდა ხოლმე. ახლა რაღაც კარგ ფიქრებში იყო და ეს ფიქრები მამაჩემს ეხებოდა.

ხომ ვთქვი, ჩვენს გვერდით სკოლა იყო-მეთქი, სკოლის ეზოში რამდენიმე ხე იდგა. ახლა ამ ხეებს გაყვითლებული ფოთლები შერჩენოდა. ისიცა ვთქვი, ამ სკოლაში დაბალ კლასებს ასწავლიდა ჩვენი მეზობელი გოგო, მერცია ერქვა ამ გოგოს. და ლაზარე ხშირად მინახავს ამ სკოლის ეზოში მერციასთან ერთად. მაგრამ დიდხანს კი არა, თითქოს უცებ მოათავებდნენ ხოლმე სათქმელს. მერცია თავისი სახლისკენ გარბოდა, ლაზარე მძიმე ნაბიჯით ბრუნდებოდა შინ.

იქნებ, ლაზარეს ავტომატში აღებული ფულით ოთახი უნდა ექირავა და მერცია შეერთო? იქნებ, პატარა ბიჭისათვის, მათ რომ გაუჩნდებოდათ, წითელი ფეხსაცმელი უნდა ეყიდა? მერციამ სწორედ სკოლის ეზოში მოტეხილი ტოტი დაუდო გვერდზე ლაზარეს. ამ ტოტმა იცოდა, რაზე ლაპარაკობდნენ ლაზარე და მერცია სკოლის ეზოში. მერცია დიდხანს არ გაჩერებულა ჩვენთან. არ ვიცი, ლაზარე შეხვდა მერციას და უთხრა ავტომატის ამბავი?

ჩვენ მანქანის ფული არა გვქონდა და ისევ დროგზე დავასვენეთ ლაზარე. ქუჩის ბოლოში არ ვიყავით მისული, ხალხი პურის რიგში ჩასადგომად დაიშალა. მე, დედა, მამა და ორი მეზობელი ავედით დროგზე. წვიმდა, ლაზარეს არაფერი ჰქონდა გადაფარებული და წვიმის წვეთები ეცემოდა, მაგრამ გადაფარება არ გვიფიქრია. ეს უკანასკნელი წვიმა იყო ლაზარესათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მძიმე პაუზის შემდეგ

**რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა 1995 წლის სეზონში პრემიერად დ. კობურნის ტრაგიკომედია „ვთამაშობთ ჯინს“ წარმოგვიდგინა, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორმა ოთარ ეგაძემ დადგა.**

**სპექტაკლი ჩვენი შესანიშნავი და ერთგვარად მონატრებული მსახიობების ზინა კვერენჩხილაძისა (პონსია დორსი) და ედიშერ მაღალაშვილის (უელერ მარტინი) ბრწყინვალე დუეტია.**

**გთავაზობთ ზინა კვერენჩხილაძის წერილს, რომელშიც ამ როლზე მუშაობისას აღძრულ ფიქრებს გვიზიარებს.**



ზინა კვერენჩხილაძე და ედიშერ მაღალაშვილი

ვფიქრობ, დღესდღეობით, უხერხულიც კია, ჩვენი საერთო, გაუნელებელი სატკივარის ფონზე—მითუფრო, იმ ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ, როცა უკვე ხელი გაქვს ჩაქნეული და ფაქტობრივად ჩამოშორდი თუ ჩამოგაშორეს სცენას, — ილაპარაკო იმაზე, თუ რას ფიქრობ, ან რას განიცდი, თუნდაც შემთხვევის წყალობით ბოძებულ შენს ახალ სამუშაოზე — შენს ახალ როლზე, უბრალოდ დრო აღარ გრჩება საამისოდ ადამიანს. პირადი წყენა, წუხილი, სიხარული... რა ბედენაა, სასაცილოც არის ალბათ, კაცმა რომ თქვას მართალი, მაგრამ, როგორც კი სპექტაკლზე მუშაობის რთულზე რთული პროცესი დასრულდა და ოცნებადქცეული სურვილი რეალობად იქცა, როცა გაიხსნა ფარდა და სცენაზე დადგმულ, ნახევრად ჩაბნელებული მესერის ჩამოშლილ ზღურბლს ფრთხილად გადავაბიჯე იმ იმედით, რომ იქნებ იქ მაინც მეპოვა ისეთი მყუდრო, შეფარული ადგილი, სადაც განმარტოებით, ყველასაგან დაფარულად შევძლებდი კიდევ ერთხელ დავფიქრებულიყავ საკუთარ ბედსა თუ უბედობაზე, სასოწარკვეთასა თუ მიუსაფრობაზე, აი, მაშინ, სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ მაყურებელი მელოდა, იგი სულგანაბული ელოდა რაღაც ახალს, მისთვის საინტერესოს, მუხლი მომკვეთა მშობლიური სცენისა და მის მრევლთან შეხვედრის მონატრებამ, ცოტაც და... მაგრამ ვნახე თუ არა ადგილი, მაშინვე ჩამოვჯექი და უმალ სახეზე ხელები ავიფარე, რომ მაყურებელს ჩემი სისუსტე არ შეემჩნია — ნოსტალგიას არ შევერცხვინე. თითქმის ორ წუთზე მეტ ხანს დავყავი ასე, მშვენიერი მუსიკის ფონზე გარინდული, გამტკნარებული... და, როგორც კი, ჩვეული ტკივილიანი სითბო ჩამეღვარა გულში, ვიგრძენი, რომ დიალოგისათვის უკვე მზად ვიყავი. სალაპარაკო და საერთო ხომ ისედაც ბევრი მქონდა მათთან და ამას ვერავინ და ველარაფერი შეაჩერებდა.

სპექტაკლი დასრულდა, დაიხურა ფარდა. სიჩუმეა. პაუზა, ერთი, ორი, სამი, არ ვიცი რამდენი და უცებ... ხმაური. აიშალა, ახმიანდა დარბაზი.

ამ პაუზით, ამ ბედნიერი პაუზით მივხვდი, რომ დიალოგი შედგა. დიახ, ნამდვილად შედგა, და, რომ ჭეშმარიტად ასე იყო, ამას უკვე ფარდის მიღმა მადლიერი მაყურებლის ჯანსაღი ტაში ადასტურებდა. მე კი... უდანაშაულო ნაცემი ობოლი ბავშვივით, გულამოსკვნილი ვტიროდი და ცრემლით ვუხდიდი მადლობას განგებას ღვთისას. გაკვირვებული მკითხველი იფიქრებს; რა არის ამაში ახალი და გამონაკლისი ან და, რატომ უნდა უკვირდეს ასეთი გამოცდილების მსახიობს მაყურებელთან კონტაქტის დამყარება. განა მთავარი დანიშნულება თეატრისა და საერთოდ ხელოვნებისა ეს არ არის? განა ცოტა გვინახავს ჩვენი თეატრების ცხოვრებაში მსგავსი შემთხვევები? — ბევრი! მართალია, მაგრამ აქ ცოტა სხვა შემთხვევასთან გვქონდა საქმე. ჩვენ ხომ სამნი ვიყავით. დამდგმელი რეჟისორი ოთარ ეგაძე, ედიშერ მაღალაშვილი და მე — თქვენი მონა მორჩილი. პიესის წაკითხვისთანავე ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მსახიობი, რომელსაც ხელეწიფება განსჯა, მსჯელობა რეჟისორს სთავაზობს პერსონაჟის მისეულ მოდელს და ასე შემდეგ. აზრთა შეჯერებაში იბადება — ყალიბდება გარკვეული ორიენტაცია სპექტაკლის დადგმის საბოლოო მიზნის მისაღწევად. ეს პროცესი უფრო ადვილად მიმდინარეობს მაშინ, როცა პიესა ხალხმრავალია და სპექტაკლის იდეის გამოკვეთას უფრო მეტი პერსონაჟი ემსახურება. აქ კი, და სწორედ გამონაკლისიც ამაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ორნი ვიყავით. ორი საათის მანძილზე ორი მოხუცებული კარტს თამაშობს, და ისინი დროდადრო ერთმანეთს ოჯახურ ამბებს ეკითხებიან — ეცნობიან. სულ ეს არის და ეს, თითქოს მეტი არაფერი. სწორედ ამაშია მისი სირთულე. დამდგმელ რეჟისორს

ოთარ ეგაჭეს, იმისათვის, რომ საინტერესო გამხდარიყო მათი მოსმენა და ყურებაც, რა თქმა უნდა, წინასწარ მყარადაც ჰქონდა მოფიქრებული, სპექტაკლის ქარგა და მისი საბოლოო მიზანი, მაგრამ მუშაობის პროცესში მსახიობი ყველაფერს თავდაყირა აყენებს ხოლმე. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ედიშერმა აიჩემა, მე კარტის თამაში არ ვიცი და ამიტომ არაფერი არ გამომივაო, რომ იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. აიცრუა გული და დიდხანს სულ ეჭვის თვალით უყურებდა ყველაფერს, განსაკუთრებით მე — როგორ არ ესმის, რომ ამისგან არაფერი სასიკეთო არ შეიძლება გამოვიდესო — და თუ რამეს შევბედავდით ან მე ან რეჟისორი, — თქვენ ჩემს წინააღმდეგ „შეთქმულებას" აწყობთო, გვეტყოდა ასე. და ერთხელაც ზუსტად ამ სიტყვებით გამოგვაჭენა, მახსოვს, ერთ-ერთ ინტერვიუში, მაგრამ როცა მძიმე, რთულზე-რთულ სარეპეტიციო პროცესში მოულოდნელად იუმორმა იფეთქა და ბავშური სიანცე, ეშმაკობა, სიყვარულობიას თამაშის ელემენტები შემოიტანა — როგორც ამას ერთი კრიტიკოსი გაკენწვლისას აღნიშნავდა თავის რეცენზიაში, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა მოვახსენო მას, რადგან სწორად გაუგია, დიახ, ბავშვებად უნდა ქცეულიყვნენ, რომ სრულყოფილად გაეხსნათ საკუთარი ბუნება.... აი, მაშინ გაჩნდა იმედი, რომ რაღაც საინტერესო უნდა გამოკვეთილიყო. და, ჩვენდა უნებურად — ერთმანეთის მოსაპოვებლად ქვეშეცნეულად მივილტვოდით მიზნისაკენ. მარტოობა რას არ გააკეთებინებს ადამიანს — კარგსაც და ცუდსაც. ისინი ეძებდნენ ერთმანეთს. მათ ერთმანეთი ძალიან სჭირდებოდათ: საყრდენად, ხმის გამცემად. ბოლოს და ბოლოს, ადამიანური სითბოსა და იმ უღიმღამო, დარჩენილი ცხოვრების შესაფერადებლად — გასალამაზებლად. ამ აქტიურ ქმედებაში, ამ ბრძოლაში გამოიკვეთა მათი ხასიათების ყველა ის თვისება, კარგიც და ცუდიც, მათი ბავშური აღტკინება სიყვარულისა და სიკეთის მიმართ. თუ ზოგჯერ პატარებივით ჯიუტად გულს ატკენენ ერთმანეთს და შემდეგ ასევე ბავშვური სიყვარულიანი ეშმაკობით შერიგდებიან, ალბათ ხასიათის ამ თვისებებმა გამოკვეთა ის ღრმა ტრაღიკული განცდა და ტკივილი, რომელსაც ხანდაზმულობაში განიცდის ადამიანი. და მაყურებელმაც ამიტომ შეიყვარა ასე ერთსულოვნად, რომ სცენაზე მათი ცხოვრება იყო რეალური, ნაცნობი და ყველასათვის ხელმისაწვდომი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მათთან ერთად მეც მიყვარს ძალიან ჩემი პონსია, ედიშერი და ოთარი, მათ გარეშე ხომ პონსია არ დაიბადებოდა. მადლობა ყველას ესოდენ დიდი სიყვარულისათვის!

**ზინა კვერენჩხილაძე**

ავთანდილ მეგრელიშვილი

# წაუკითხეთ პატარებს

## მაჩვის სიმღერა

პაწაწინა მაჩვი ვარ,
ტანზე ქურქი მაცვია.
თბილია და ფუმფულა,
განა ცუდი ქაცვია?!
ზამთრის მოსვლა მახარებს,
თავზე ფიფქი მაცვივა.
ბინაში არ შევდივარ,
რადგან სულაც არ მცივა!

## ღორს

სადაც ნახე ლაფი,
სადაც ნახე წუმპე,
გაიქეცი სწრაფად,
ჩაწექი და წრუპე.
რომ დაგბანო, ჯაგარს
ისევ მალე დასვრი.
შენს დაბანას, ღორო, —
აღარა აქვს აზრი.
შენისთანა დედა
როგორ შვილებს დაზრდის?!

## ღონიერი ქართველი

დიტო, ისე გაგვისუქდა, —
ველარ ცნობენ მეზობლები.
— ნეტავ, ახე რა ასუქებს?!
— რა და — პაპის ეზოს ბლები!
ამ ზაფხულში სოფლად გაზრდათ,
დედაც აზრდა, ბებოც აზრდა...
განა მარტო ბლით გასუქდა? —
ეს ტყუილი არის სუფთა!
რძესაც სვამდა, ყველსაც ჭამდა,
გაგვისუქდა მაერითაც...
ჰოდა, დიტო, ჯანმრთელია,
ჰოდა, დიტო, ტანმრთელია.
ახლა ჩვენი დიტო ბიჭი,
ღონიერი ქართველია!
ღონიერი ქართველი კი, —
საქართველოს უნდა მრავლად.
რადგან მტრებმა ჩვენს მამულში,
ველარ შეძლონ კვლავაც გავლა!..

## სკოლაში რა ვისწავლო?!

თუმცა ბევრი ვიწვალე, —
კითხვა მაინც ვისწავლე.
ცოტა ბებომ მასწავლა,
ცოტა — დედამ, მამიდამ...
„დედა ენას" ვკითხულობ,
აბა, მეტი რა მინდა?!
მითხრეს: — წერაც ისწავლე,
კლასში რომ არ იწვალო!
წერაც თუ შინ ვისწავლე, —
სკოლაში რა ვისწავლო?!

## დასთან

დედამ დასთან დამტოვა,
ერთ წუთსაც არ მოვცილდი.
ვათამაშე, ვაცინე,
ვეზვეოდი, ვკოცნიდი.
დავაძინე აკვანში,
ჩავუფუთნე ფეხები
და ლოყაზე ტუჩებით,
ნიავივით ვეხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპიდ-ინფო

თავის მკითხველთა შეკითხვებზე იძლევა ფრიად საინტერესო რჩევებს. გთავაზობთ ზოგ მათგანს, რომელიც უთუოდ გამოგადგებათ.

## წინასწარ ვერ იტყვი

ჩემთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თქვენს პასუხს ჩემს შეკითხვაზე. ვის ემსგავსება ჩემი შვილი? კაცმა, რომელიც ძალიან მიყვარს, ახლახან ცოლი შეირთო. დარდისაგან რომ არ მოვმკვდარიყავი, გადავწყვიტე მისგან შვილი გამეჩინა. ემგვანება ბავშვი ჩემს სატრფოს (რაც ძალიან მინდა) თუ არა, შეიძლება წინასწარ ამის ცოდნა?

ლუბა ვ. ტულის ოლქი.

შეკითხვას უპასუხებს ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ტრუბნიკოვი.

— ლუბას ალბათ დადებითი პასუხის მოსმენა სურდა, მაგრამ ეს აუხდენელი ოცნებაა. ყველაფერი, რასაც ბავშვი მშობლებისგან მემკვიდრეობით იღებს, სულ ორ უჯრედშია მოთავსებული — კვერცხსა და სპერმატოზოიდში. ეს უჯრედები სიდიდით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ დედისა და მამის მემკვიდრეობითობის გავლენა თითქმის თანაბარია.

კვერცხუჯრედში ციტოპლაზმა სპერმატოზოიდთან შედარებით გაცილებით მეტია, მაგრამ დედის ციტოპლაზმის გავლენა ბავშვზე შეზღუდულია. ამის ერთ-ერთ მტკიცებულებად გამოდგებიან შერეული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვები, მაგალითად, თეთრკანიანი დედისა და ზანგი მამის შთამომავლები ფერით არ განსხვავდებიან ზანგი დედისა და თეთრკანიანი მამის შვილებისაგან. შეუძლებელია წინასწარ გაგება — ვის ემსგავსება ბავშვი. ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ბავშვი ნახევარს დედის გენებისაგან იღებს, ნახევარს — მამისაგან.

## შიშის ნიადაგზე

— პირველი მშობიარობის შემდეგ დამემართა ფსიქოზი. ახლა კვლავ ფეხმძიმედ ვარ და მეშინია, ყველაფერი თავიდან არ განმეორდეს.

რა იწვევს მშობიარობის შემდგომ ფსიქოზს?

— ქალები ხშირად განიცდიან ტკივილისა და შესაძლო გართულებების შიშს. მშობიარობის შიში, როგორც წესი, გამოიხატება სხვადასხვაგვარი ნერვულ-სომატური დარღვევებით: ღებინება, შეკრულობა, კუჭის წვა, ცრემლის დენა, უძილობა. ფეხმძიმობის დროს ფსიქიური დაძაბულობის ხანგრძლივობა. ხანდახან იწვევს მშობიარობისშემდგომ ფსიქოზს.

მაგრამ ეს ერთადერთი მიზეზი როდია. ფსიქოზის პროვოცირება შეუძლია ნაყოფის დაღუპვის მოლოდინსაც ფეხმძიმობის მთელი პერიოდის მანძილზე, ფიზიკურ ტანჯვას მშობიარობის დროს, უხეში და მტკივნეულ სამეანო მანიპულაციებს გაუმტკივანების გარეშე ფსიქიური დაავადების ფაქტის არსებობას ქალის წინაპრებში და ა. შ. ამ დაავადების მიზეზად შეიძლება ახლობლის სიკვდილი ან ქმართან გაცილებაც იქცეს.

მშობიარობისშემდგომ ფსიქოზზე, როგორც შმაგ, ხმაურიან პარადოქსულ ქცევაზე ჩვენი წარმოდგენა ყოველთვის სწორი როდია. ზოგჯერ ქალი ძალზე წყნარი, მე-

## ახალი მონა ლიზა



160 ათასი დოლარი დახარჯა ევა ქრისტენსენმა, რათა დამსგავსებოდა მონა ლიზას, ოცმა პლასტიკურმა ოპერაციამ ის ნელ-ნელა დაამსგავსა ლეონარდო და ვინჩის დიად ქმნილებას. ნათესავებს და ახლობლებს ვერ გაუგიათ, რად დასჭირდა ევას ყოველივე ეს. დედამისი ვერ ეგუება ქალიშვილის სახის წარამარა ცვლას, სამაგიეროდ ძალიან კმაყოფილია ევას ქმარი. ის კი არა, ფიქრობს, ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა, რადგან პერიოდულად ახალი და ახალი ქალი მყავს გვერდითო.

ევას კიდევ ერთი ოპერაცია სჭირდება, რათა თავის იდეალთან სრულ მსგავსებას მიაღწიოს, მისი ქმარი კი მოუთმენლად ელის მომენტს, როცა „ნამდვილი“ მონა ლიზას მფლობელი გახდება.

ფოტო ინგლისური ჟურნალიდან „ნეშნილ ინკვაირერ“.

ევა ოპერაციამდე, მე-14 და მე-20 ოპერაციის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტისმეტად მშვიდია, თითქოს ამქვეყნიური არაფერი აღელვებდეს. ბავშვისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარია — გადაჭარბებული ყურადღებიდან სრულ გალგრილობამდე, თუ დაავადებას დროულად ვერ აღმოვაჩენთ, მისმა მიმდინარეობამ შესაძლოა მძიმე ხასიათი მიიღოს. მომავალი დედისადმი ახლობლების ყურადღებიანი, მზრუნველი დამოკიდებულება ყოვლად აუცილებელია. იგივე ითქმის მშობიარობის შემდგომ პერიოდზეც.

### გაფურჩქვნის ხანაში

— იწვევს თუ არა არანორმალური სქესობრივი ცხოვრება, მაგალითად, მოძალადე [illegible]ისადმი სიძულვილი საშვილოსნოს ფიბრომიომის გაჩენას?

— საშვილოსნოს ფიბრომიომა ჩვეულებრივ ჩნდება ქალის შობადობის ფუნქციის გაფურჩქვნის ხანაში, სქესობრივი სიმწიფის დადგომამდე ის ძალიან იშვიათად გვხვდება. ხოლო ამ ფუნქციის ქრობასთან ან საკვერცხეების ამოჭრასთან ერთად ფიბრომიომა მცირდება, ან სულაც ქრება. ლიტერატურაში ფეხმოკიდებულია შეხედულება, რომ ფიბრომიომით უფრო მეტად ავადდებიან ქალები, რომლებიც სქესობრივი ცხოვრებით არ ცხოვრობენ. მაგრამ ამ ფაქტს უყოყმანოდ ვერ მივიღებთ, ვერც იმ მოსაზრებას გავიზიარებთ, რომ ამ დაავადების წარმოშობაში როლს სქესობრივი ცხოვრების სხვადასხვა დარღვევები და გადახრები თამაშობდეს — ვთქვათ სქესობრივი დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი აქტის შეწყვეტა, ძალადობა.

სქესობრივი ცხოვრების უქონლობა ფსიქოლოგიურად უფრო შემაწუხებელია, ვიდრე ფიზიოლოგიურად.

თუ ფიბრომიომა არ იზრდება, ან თან არ ახლავს რაიმე გართულება, მას არ ეხებიან, სხვა შემთხვევაში საჭიროა ქირურგიული ჩარევა.

### სლოკინს ყინული არ უყვარს

— რა უნდა ვქნა, როცა სლოკინი მეწყება? საერთოდ რისგან ჩნდება იგი? მე, მაგალითად, თითქმის ყოველთვის სლოკინი ინტიმური სიახლოვის წინ მეწყება-ხოლმე.

— სლოკინი დიაფრაგმის უნებლიე სპაზმური შეკუმშვისას იწყება, როცა ნერვი, რომელიც დიაფრაგმას მართავს, გაღიზიანებულია, ან შევიწროებულია კუჭის, ელენთის ან ღვიძლის მიერ.

უფრო ხშირად ამის მიზეზია მეტისმეტად დანაყრება, გაზიანი ან ალკოჰოლური სასმელის მიღება, ნიკოტინით მოწამლვა, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება, სხვა ნერვული სიმპტომები.

იშვიათად სლოკინი მთელ დღეს გრძელდება, რაც დაავადების სიმპტომია, მაგალითად, პლევრიტის ან პნევმონიის, კუჭის ან კუჭქვეშა ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნის.

როგორ მოვიქცეთ სლოკინისას?

მსუბუქი შემთხვევებისათვის ექიმები გვირჩევენ ბებიებისდროინდელ საშუალებებს. ნერვული სლოკინისას, ჩვენს მკითხველს კი სწორედ ამგვარი სჭირს, საჭიროა რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქოთ, რამდენადაც შეიძლება შეაჩეროთ სუნთქვა და ნელა გამოისუნთქოთ ცხვირიდან. შეიძლება ყინულის ნაჭერი ჩაყლაპოთ, ან რამდენიმე ყლუპი ცივი წყალი მოსვათ, ამ დროს ყურები მჭიდროდ უნდა იყოს დახშული. ხანგრძლივი სლოკინისას დაიდეთ მდოგვის საფენები გულის კოვზთან. სხვა საშუალებაც არსებობს. სწრაფად მოკბიჩეთ და და გადაყლაპეთ ძმარში დასველებული შაქრის ნატეხი. ან დიაფრაგმაზე ძლიერად დააჭირეთ ხელები. (წელს ზემოთ). ასევე შეიძლება ქაღალდის პარკში ჩასუნთქოთ.

მძიმე შემთხვევებისას ექიმები პაციენტის გამოკვლევას ატარებენ და უნიშნავენ სპაზმის საწინააღმდეგო საშუალებებს.

---

რჩევა ქალებს

# ქმარს არ უყვარს, როცა...

იყავით იმაზე ხალისიანი, ვიდრე გარემოება ამის საბაბს გაძლევთ.

ნუ შეეკამათებით მეუღლეს, სანამ პირის პარსვას არ დაამთავრებს. ეს პროცესი მისთვის მეტად მნიშვნელოვანია; ამ დროს აწყობს იგი მთელი დღის გეგმებს და ხელს ნუ შეუშლით. თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრი ლაპარაკის მოყვარულ მამაკაცებსაც კი ეზარებათ დილით ხმის ამოღება.

მოუთმენლად ელოდეთ სამსახურიდან მის დაბრუნებას. ყველაფერი მზად უნდა გქონდეთ. ქმარს არ უყვარს, როცა სადილი ან ვახშამი იგვიანებს. სუფრის გაშლისას არ დაგავიწყდეთ საფერფლე და ახალი გაზეთი. ხომ იცით, მამაკაცს პოლიტიკა აინტერესებს და ნუ მოიღუშებით, თუ თქვენთან საუბარს გაზეთის კითხვა ურჩევნია. და კიდევ ერთი — შემოვა თუ არა სახლში, მაშინვე კითხვებს ნუ დააყრით, აცალეთ ისადილოს, გონს მოვიდეს.

შეიძლება ვერ ამჩნევთ, მაგრამ მას ძალიან აღიზიანებს თქვენი გაუთავებელი საუბარი ტელეფონით ნათესავებთან და მეგობრებთან. ეცადეთ, მისი თანხმობის გარეშე არ დაპატიჟოთ სტუმრები. ხანდახან თუ გაგაბრაზებთ, მაშინვე ნუ მოგეჩვენებათ, რომ თქვენი მეუღლე ამქვეყნად ყველაზე უარესია. კამათის დროს საზღვარს ნუ გადახვალთ, მამაკაცს ეს კიდევ ეპატიება, ქალს — არა.

კვირაში ერთხელ მაინც მიეცით შესაძლებლობა თავი უცოლო მამაკაცად წარმოიდგინოს. ნუ გამოკითხავთ, სად იყო და რა გააკეთა.

უმჯობესია დააკვირდეთ, რა ხიბლავს მას სხვა ქალებში და გაითვალისწინოთ. ნუ ეცდებით ჯაჭვის ყულფი ჩამოაცვათ, აბრეშუმის ძაფებით იყოლიეთ მიჯაჭვული, — ეს უფრო საიმედო იქნება. თავისუფლების ილუზია მამაკაცს ჰაერივით სჭირდება.

ხშირად ნუ მისცემთ შენიშვნებს, ნუ გააკრიტიკებთ მის გრძნობებს და საქციელს, — ამას იგი არ დაივიწყებს.

პატივი ეცით მეუღლის პროფესიას. იგი თქვენი მარჩენალია!

დაბოლოს, იყავით ნაზი, ქალური, სასურველია, მეუღლემ თქვენში ყოველთვის კარგი თვისებები აღმოაჩინოს.



# „სიდედრის ენა“ სიკეთეს მოგიტანთ

ზოგიერთი ქვეყნის მედიკოსები დიაგნოზს მარტო ადამიანს კი არა, შენობებსაც უსვამენ. ასე წერენ „ავადმყოფი შენობის სინდრომი“, ხოლო ეს ავადმყოფობა ემართებათ ადამიანებს, რომლებიც ეკოლოგიურად დაბინძურებულ ბინებში ცხოვრობენ.

ამერიკელი სპეციალისტების შეფასებით ზოგიერთ ბინაში გარემოს დაბინძურებულ ნივთიერებათა კონცენტრაცია ასჯერ მეტია, ვიდრე ქუჩაში. იქ ეკოლოგიურად არაკეთილსაიმედოდ მიჩნეულია საცხოვრებელი ფონდის 30 პროცენტი. ამის მიზეზია ახალი საამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები, შესახედად მშვენიერი და მოსახერხებელი საყოფაცხოვრებო ნივთები, სინთეტური სარეცხი და საწმენდი საშუალებები. არც სხვაგან არის ამ მხრივ იდეალური მდგომარეობა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს პანელის სახლებში, სარგებლობს გაზის ღუმელით. სხვა გასათბობი ხელსაწყოებიც საკმაოდ გამოყოფენ ნახშირორჟანგს. ჩვენ სიამოვნებით ვფარავთ იატაკს ლაქით და ლინოლიუმის ქიმიური იატაკის საფარით. ოთახს არ ვანიავებთ, ყოველივე ამის შედეგია, რომ ოთახის ჰაერში ორგანულ ნაერთთა ასზე მეტი ნაირსახეობა დაფრინავს. ეს უჩინარი მავნებლები იწვევენ ზედა სასუნთქი ორგანოების, თვალების გაღიზიანებას, სურდოს, ქრონიკულ თავის ტკივილს, გულისრევას და სხვა. ამას ემატება ბეტონის, წიდაბეტონის, პოლიმერბეტონის კედლები — რადიაციის წყარო, ბეტონის კედლები აქტიურად იწოვენ ოთახის ჰაერის ტენს. არადა, ჯერ კიდევ ავიცენა გვასწავლიდა: სიბერე ეს სიმშრალეაო. ასეთ ბინებში ადამიანს ხშირად აწუხებს კანის სიმშრალე და სხვა.

მაგრამ თავის შეშინებას რა აზრი აქვს? ბინას ვინ გამოგვიცვლის? სჯობს ის საშუალებები ვეძებოთ, რაც ამ უსიამოვნებებს თავიდან აგვაცილებს. ყველაზე იაფი და ესთეტიკური საშუალებებია ადამიანის უძველესი მეგობრები — ოთახის მცენარეები, რომლებიც ჟანგბადს გამოჰყოფენ, მავნე ნივთიერებებს ნთქავენ და გამოშრობისაგან იცავენ ჰაერს. მაგალითად, სამი კვირა სჭირდება ჩინურ ვარდს ან ოთახის ვაზს, რომ ოთახის ჰაერი სრულად გაწმინდოს მიკრობებისაგან. ოთახის ჰაერს ასევე წმენდს და აჯანსაღებს ჩვეულებრივი მირტი, გვიმრა, დაფნა. ხოლო ჩემპიონად შეიძლება ჩაითვალოს სანსევიერა ანუ, როგორც მას წვეტებიანი ფოთლებისათვის ეძახიან, „სიდედრის ენა“.

ყველაზე მძლავრი, მრავალმხრივი ზემოქმედებით გამოირჩევა ქლოროფიტუმი. ეს მრავალწლოვანი, ვიწრო ორფერი ფოთლებიანი და დაკიდულ წანაზარდებიანი მცენარე შეიძლება შევადაროთ კონდიციონერს. ის ნთქავს მავნე გაზებს და საოცარი სისწრაფით წმენდს ოთახის ჰაერს. განსაკუთრებით ემტერება ეს მცენარე აზოტის ჟანგს და მძიმე მეტალებს. მასზე ამბობენ, რაც უფრო მძიმე და ცუდია ჰაერი ჩვენთვის, მით უკეთესია მისთვისო. მაგალითად, სამზარეულოში იგი შესანიშნავად ხარობს. რამდენიმე ასეთ მცენარეს მთელი სახლის ჰაერის გაწმენდა შეუძლია. თანაც ძალზე უპრეტენზიოა, მხოლოდ ტენი უყვარს. იგი ადვილად მრავლდება — ფოთლები ფესვებს იკეთებს. შეგიძლიათ მოამრავლოთ და აჩუქოთ მეგობრებს, საუკეთესო საჩუქარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარინა — ნიკოლოზ სანიშვილის ქალიშვილი

ქართულმა კინემატოგრაფმა განიცადა უდიდესი დანაკლისი. დიდუბის პანთეონს მივაბარეთ კიდევ ერთი ღვაწლმოსილი მამულიშვილი, ბატონი ნიკოლოზ სანიშვილი, საოცარი ენერგიისა და მოქალაქეობრივი შეგნების მქონე მოაზროვნე, ადამიანი, რომელიც საოცარი შემართებით მიჰყვებოდა ცხოვრების აღმართს. ბატონი ნიკოლოზი ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანი იყო, რადგან მან განსაზღვრა ჩემი მომავალი ცხოვრების გზა ხელოვნებაში. ახალგაზრდობაში ულამაზესი ვაჟკაცი ყოფილა, ნიჭიერი მსახიობი, იმდენად პოპულარული პიროვნება, რომ მისგან მოხიბლულ მშვენიერ გალინა კრავჩენკოს ქმარი მიუტოვებია, მაშინდელი მთავრობის ერთ-ერთი ლიდერი. მან უზრუნველ ცხოვრებას ღარიბი მსახიობის ლუკმის განაწილება ამჯობინა. ეს უდიდესი გმირობა იყო, რადგან შეიძლებოდა ეს დიდი სიყვარული სიცოცხლის ფასად დასჯდომოდათ ორივეს. მაგრამ ამაზე შემდეგ...

ახლა კი ბატონ ნიკოლოზისა და ქალბატონ გალინა კრავჩენკოს დიდი სიყვარულის ნაყოფზე, ჩემს საყვარელ უმცროს მეგობარზე კარინა სანიშვილზე მოგითხრობთ:

ის მოსკოვში მეუღლესთან, ალექსი შმარინოვთან ერთად ცხოვრობს. ჰყავს ორი შესანიშნავი ვაჟი. შმარინოვების დიდი ოჯახი რუსული ინტელიგენციის ერთ-ერთი ლამაზი და მნიშვნელოვანი კერაა. პაპიდან შვილთაშვილებამდე ცნობილი არიან როგორც დიდი მხატვრები. ეს ოჯახი მოსკოვის კულტურის საუკეთესო ცენტრია, სადაც ჩვენი ქართველი მხატვრებიც თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში, რადგან ამ ოჯახის დიასახლისი ჩემი საყვარელი კარინა სანიშვილია, ულამაზესი, სათნო, ჭკვიანი, სასახელო ქართველი ქალი, რომლისთვისაც საქართველო ისევე ძვირფასია, როგორც მისი მამისთვის იყო.

ამ ჩინებულ ქალს, როგორც მსახიობს, დიდი კარიერა ელოდა. მან მერის როლი შეასრულა ლერმონტოვის „თავადის ასული მერის“ მიხედვით გადაღებულ ფილმში, მაგრამ ხელოვნების გზას ოჯახური იდილია ამჯობინა.

რა მძიმედ განიცადა სახელოვანი მამის დაკარგვა. როგორ სთხოვდა ბატონ ნიკოლოზს ბოლო წლებში მაინც ჩასულიყო მოსკოვში მასთან, სადაც კომფორტი, სითბო, სიყვარული ექნებოდა, მაგრამ ნიკოლოზ სანიშვილი არ იყო ის კაცი, გაჭირვების დროს სამშობლო და მეგობრები მიეტოვებინა. 93 წლის მოხუცი იჯდა გაყინულ ბინაში, მუშაობდა სცენარზე, ახალი ფილმის გადაღებას აპირებდა. აი ასეთი მამის შვილია კარინა სანიშვილი, საოცრად შეყვარებული თავის სამშობლოზე.

— ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ხომ ვართ ღირსნი თავისუფლებისა, ჩემო დოდო! მითხრა ბატონმა კოლიამ... უცბად მომაგონდა ქეთევანი ფილმიდან „დავით გურამიშვილი“. ჩემი საყვარელი ქეთევანი, სამშობლოს თავისუფლებისათვის შეწირული ქართველი ქალი, რუსეთში მძევლად დარჩენილი... ძლივს შევიკავე ცრემლი, მოვეხვიე, გულში ჩავიკარი...

ჩვენ სითბოს და სიყვარულს არ მოგაკლებთ, რადგან ვიცით, რომ შენ იქ იქნები ჩვენი დესპანი, ჩემო კარინა... შენთვის მშობლიური საქართველოს კარი ყოველთვის ღიაა. ვფიქრობდი უხმოდ, ჩემთვის. ის კი გრძნობდა ამ სითბოს... და გულზე მეფონებოდა სიამე.

დოდო ჭიჭინაძე.

ასეთიც-ასეთიც

## იმედი

ამერიკელ და გერმანელ მეცნიერთა მიერ გაკეთებული ახალი აღმოჩენები შიდსით დაავადებულთა სრული განკურნების თუ არა, ეფექტური მკურნალობის იმედს იძლევა.

მეცნიერებმა შეძლეს ადამიანის ორგანიზმის მიერ გამომუშავებული ნივთიერებების გამოყოფა, რომელიც წინააღმდეგობას უწევს შიდსის დაავადების გამომწვევ ვირუსს. როგორც ლაბორატორიული ცდებით ირკვევა, ადამიანის იმუნური სისტემის მიერ გამოყოფილი გარკვეული მოლეკულები ვირუსის ზრდის ტემპს აჩერებს. კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების ხარისხის კონტროლის აშშ-ის ფედერალურმა უწყებამ ექიმებს ამ ახალი წამლის გამოყენების უფლება დართო.

გაზეთი „რეზონანსი“.
1995 წლის 26–27 დეკემბერი.

ასეთიც-ასეთიც

## მოჩეხილი რქების კლუბი

ჩერეპოვეცში 40 წლის მამაკაცმა, რომელმაც ცოლს საყვარელთან შეუსწრო, ქალაქის გაზეთ „კურიერში“ გამოაცხადა „მოტყუებული ქმრების კლუბის“ შექმნის შესახებ. როგორც ამ კლუბის ხელმძღვანელმა თქვა, კლუბში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ექვსი კაცია, რადგან ამ ქალაქის კაცებმა არ უწყიან, რომ თითქმის ნახევარი რქოსანია და ჰგონიათ სწორედ მათი ცოლები არიან პატიოსნებისა და ერთგულების განსახიერება. სხვათა შორის, შექმნილი კლუბის წევრთა ძირითადი მიზანია თავისივე თანაკლუბელთა ცოლებთან გაარშიყება და მათი ცდუნების მცდელობა, რათა გამოსცადონ მათი ერთგულება და წესიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესამე დღე...

ერთ ლექციაზე აწ გარდაცვლილმა ბატონმა ზურაბ ბარდაველიძემ პირველკურსელებს გვითხრა: გირჩევთ, ბატონებო, წელიწადში ერთი დღე ზოოპარკში გაატაროთ, ერთი დღე კი — სასაფლაოზე. პირველი თქვენს ამქვეყნიურ მოვალეობას შეგახსენებთ, მეორე კი — ამქვეყნიურ ამაოებასო...

გავიდა დრო და თბილისის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში სტუმრობისას, ჯერ კიდევ ორი წლის უკან, მივხვდი, რომ მესამე დღის დამატებაც ყოფილა საჭირო, დღისა, რომელიც იმ სამსართულიანი შენობის გარეთ დარჩენილებს ყველა ჩემთვის ნაცნობი და განცდილი გრძნობების გარდა, უამრავ სხვა — ჭიანჭველებივით მოფუთფუთე, ჭინჭარივით მსუსხავ, ჯერაც უსახელო ტკივილ-შეგრძნებებს ერთი ხელის მოსმით ჩაგვისახლებს სულსა და სხეულში.

აქ შეიძლება ნახო და ხელით შეეხო გაკონკრეტებულ, ხორცშესხმულ აბსტრაქტულ სახეებს — ტკივილს, შიშს, უყურადღებობას, მარტოობას... ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ამ უფორმო შენობის მკვიდრნი, დღემდე დედამიწის ზურგზე ჩადენილი ყველა ცოდვის გამო და ყველა ცოდვილის ნაცვლად ისჯებიან...

სულ ახლახანს ამ საავადმყოფოში მეორედ მისვლისას, დავრწმუნდი, რომ ორი წლის განმავლობაში ბევრი არაფერი შეცვლილა. საავადმყოფოს საქვაბე ისევ გაფუჭებულია და ბუნებრივია, გათბობა არ არის, დერეფნებში სიცივეა. პალატებში შედარებით თბილა. წყალი ხშირად არ არის და სულის შემხუთველია სუნი, რომელიც მთელ დერეფანში იგრძნობა. უცხო ადამიანის სანახავად თითქმის ყველა, ვისაც კი სიარული შეუძლია, გამოდის ოთახიდან. რაღაცას ითხოვენ, ჩივიან, ტირიან...

— მშია, პური არ მყოფნის...

— ტანსაცმელი არ მაქვს, მცივა...

— პურს მართმევენ, ბალიშის ქვეშ დავმალე, მაინც წამართვეს...

— უმარილო საჭმელებია...

— სიგარეტი არ გაქვთ?..

ასე მეორდება ყველა განყოფილებაში. ჭუჭყიანი, ზოგან კი საერთოდ უთეთრეულო ქვეშაგები აქვთ დაფენილი ავადმყოფებს. ტკივილამდე მისული უილაჯობა გიპყრობს ადამიანს, როდესაც უყურებ მათ და გესმის ეს მოთქმა.

აქ არსებულ პრობლემებზე რამდენიმე კითხვით მივმართეთ ქალაქის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს მთავარ ექიმს **გია ცხაკაიას.**

**— ბატონო გია, რა შეიცვალა თქვენთან ბოლო ორი წლის განმავლობაში?**

— მედიცინის დარგში გატარებულმა რეფორმამ სულზე მოგვისწრო. დავფარეთ ყველა ვალი. გავაუმჯობესეთ კვება. საკმარისად გვაქვს წამლებიც. გამოგვიყვეს საკუთარი ელექტროენერგია. მიმდინარეობს საქვაბის რეკონსტრუქცია, ასე რომ, გათბობაც გვექნება. ამ რეფორმის წყალობით ხელფასები მოვუმატეთ ექიმებს, სანიტრებს. თუ ადრე კადრების კატასტროფული დენადობა იყო, ახლა ისევ უკან ბრუნდებიან. ახალი კადრებიც მივიღეთ. თუმცა ტრანსპორტის და წყლის პრობლემა ჯერჯერობით კვლავ გადასაწყვეტია.

**— შეიცვალა თუ არა მკურნალობის სტილი, ფორმა. მკურნალობის ახალი მეთოდი თუ დაინერგა?**

— ჯერ კიდევ 1988 წელს მოვხსენით გისოსები ფანჯრებზე. გავხსენით სამლოცველო. ავადმყოფებისათვის სანთელი უფასოა. ყოველ ოთხშაბათს და პარასკევს ამოდის მამა დავითი. ადრე კონცერტებსა და კინოსეანსებს ვმართავდით, ხატავდნენ, ძერწავდნენ, მუშაობდნენ კიდეც. შრომა-თერაპია მათთვის აუცილებელია. დღეს კი მიწის ნაკვეთის აღებაც კი ვერ მოვახერხეთ, რომ რაღაცით დაგვესაქმებინა ეს ადამიანები. ჩვენ ხშირად ვახსენებთ საზღვარგარეთს, არ გეგონოთ, რომ იქ სხვაგვარად მკურნალობენ პაციენტებს, უბრალოდ, იქ რეაბილიტაციის პროცესი მაღალ დონეზე მიმდინარეობს.

**— საზღვარგარეთი ახსენეთ. ხომ არ თანამშრომლობთ რომელიმე ქვეყნის ანალოგიური ტიპის კლინიკასთან?**

— სამწუხაროდ, არა. ადრე, წინა წლებში უფრო დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩვენს მიმართ საზღვარგარეთელი კოლეგები. დღეს რატომღაც ეს ინტერესი აღარ იგრძნობა.

**— ბატონო გია, ამ ტიპის საავადმყოფოებში, ალბათ დიდი როლი ენიჭება ფსიქოლოგიურ სამსახურს. როგორ არის თქვენთან ეს საკითხი გადაწყვეტილი?**

— ჩვენი ექვსივე ფსიქოლოგი ფსიქო-დიაგნოსტიკით არის დაკავებული. ფსიქოკორექტივას კი ჯერ-ჯერობით ვერ ვახერხებთ ეკონომიკური პირობების გამო, შესაფერის ანაზღაურებას ვერ ვიძლევით.

**— ძირითადად ვის მოჰყავს ავადმყოფები თქვენთან?**

— ადრე ავადმყოფების მოყვანა მილიციას ან სასწრაფო დახმარების სამსახურს ევალებოდა. ახლა პატრონებს მოჰყავთ. არის კიდევ ერთი მომენტი; ოჯახი მანამდე მალავს ავადმყოფს, ვიდრე ეს უკანასკნელი ნაჯახს ან ქვას არ იღებს ხელში. ყველა ექიმთან მიიყვანენ, ფსიქიატრის გარდა. ასეთ ავადმყოფებს სახლში ჩაკეტვა კი არა, მკურნალობა სჭირდებათ.

**— აქ მოყვანის შემდეგ პატრონს რა „ევალება“?**

— ჩვენი პაციენტების უმრავლესობა „ზედმეტ ტვირთად“ აწევს ახლობლებს. შვილების 80%-ს მშობლები არ უნდათ, დას — ძმა, მამას — შვილი. ხშირია შემთხვევა, როცა მიცვალებულიც კი აღარ მიჰყავთ. როდესაც ტრანსპორტის პრობლემა არ იყო, მნახველები უფრო ხშირად მოდიოდნენ და საჭმელიც მოჰქონდათ მათთან. დღეს კი იშვიათად თუ მოვა ვინმე, აღარ ვლაპარაკობ ეკონომიურ დახმარებაზე. განმარტოება, ახლობლებისაგან მოწყვეტა ფსიქიურად ჯანმრთელ ადამიანს ჩააგდებს დეპრესიაში, არამცთუ ავადმყოფს.

**— გრძნობთ თუ არა საზოგადოებისაგან მხარდაჭერას, დახმარებას?**

— თითქმის არა. ისე გავა ერთი წელი, არავინ მოვა, არავინ იკითხავს: მორჩით? მოკვდით? გშიათ? გწყურიათ? მართალია, დღეს ყველას უჭირს, მაგრამ ამათზე მეტად? თუ ვინმე გვეხმარება, ეს ისევ ჰუმანიტარული ორგანიზაციებია. მოაქვთ საჭმელი, ტანსაცმელი, მედიკამენტები. არც ერთი ქართველი ქველმოქმედი არ გვსტუმრებია ჯერჯერობით. თუმცა იმედს მაინც არ ვკარგავთ.

* * *

**იმედს არც ჩვენ ვკარგავთ და ვთხოვთ ყველას, ვისაც კი აქვს სურვილი და შესაძლებლობა ქველმოქმედების, კეთილი საქმის კეთების, მიაკითხეთ ქალაქის ფსიქო-ნევროლოგიურ საავადმყოფოს. იქ ყველაფრის შიმშილი იგრძნობა: თბილი სიტყვიდან დაწყებული, ეკონომიური თანადგომით დამთავრებული... ყველამ ვიფიქროთ მესამე დღეზე...**

**ელისო კაპანაძე**

# ნიორი — საკმაზ-სანელებელი და წამალი

ერთ-ერთი ვერსია, თუ რატომ არ იყო ეპიდემია ეგვიპტის პირამიდების მშენებელ მონათა შორის ისეთ მძიმე პირობებში, როგორშიც ისინი იმყოფებოდნენ, დასტურდება იმით, რომ მონათა რაციონში აუცილებლად შედიოდა რამდენიმე თავი ნიორი.

ძველ ისტორიკოსთა ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ბერძნები ნიორს ღარიბთა საკვებად თვლიდნენ, ამიტომაც არ უშვებდნენ აფროდიტას ტაძარში ნივრისსუნიან ადამიანებს. პითაგორამ ნიორს სანელებელთა მეფე შეარქვა...

ნიორი მრავალწლოვანი მცენარეა, რომლის სამშობლოა სამხრეთ აზია. ნივრის ბოლქვებს მძაფრი სუნი და მწარე, მწველი გემო აქვს. ნიორში არის გოგირდის შემცველი ნივთიერებები, რომელთა დაშლით წარმოიქმნება დიალისულფიდები; ისინი წარმოადგენენ ნივრის ეთერზეთის მთავარ შემადგენელ ნაწილს, რაც განაპირობებს მის სუნს. ეთერზეთში შედიან ფიტონტერინები (ისინი მოქმედებენ მაღალი არტერიული წნევის და ათეროსკლეროზის წინააღმდეგ), შაქრები, ორგანული მჟავეები, მცირე რაოდენობის ვიტამინები: C-პირველი, B-პირველი, B მეორე და ჰორმონები.

ნივრის მადისაღმძვრელი თვისება გამოიყენება კულინარიაში. იგი მრავალ კერძს განსაკუთრებულად სასიამოვნო გემოს და არომატს ჰმატებს.

ბალკანეთისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხები ნიორს უზომო რაოდენობით ხმარობენ, რაც არ არის მართებული. შუა ევროპაში კერძის არომატისათვის ნიორს მცირე რაოდენობით ხმარობენ.

ზოგიერთ კერძებში ნიორი იმდენად საპატიო კომპონენტია, რომ მას თითქმის მთელ თავს იყენებენ (ხაში, ბაჟი, ნიორწყალი). ნივრის ცხიმში მოშუშვა არამც და არამც არ შეიძლება, რადგან იგი კარგავს არომატს.

ნივრის დიდი რაოდენობით მიღება არაა რეკომენდებული თირკმელებით, ნაღვლის ბუშტით და ღვიძლით დაავადებულთათვის. კერძის არომატისათვის მათ შეუძლიათ გამოიყენონ მცენარეულ ზეთზე დამზადებული ნივრის ნაყენი, რომელიც ასე მზადდება: 50 გრამი თხლად დაჭრილი ნიორი მოათავსეთ მუქგაუმტარ ჭურჭელში, დაასხით 250 გრამი ზეთი, ჭურჭელს კარგად დაახურეთ თავსახური და დადგით გრილ ადგილზე 5-6 დღის განმავლობაში.

ნივრის წვენი ანადგურებს გრიპის ვირუსს, არეგულირებს გულის მოქმედებას და ქსოვილთა რეგენერაციასთან დაკავშირებულ პროცესებს, სტიმულირებას უწევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს და ნაღვლის ბუშტის მუშაობას. ერთი-ორი კბილი ნივრის მიღება შესაძლებელია მაწონთან ერთად.

ფართოდაა გავრცელებული ნივრის ნაყენი, რომელიც ოჯახურ პირობებში მზადდება: 250 გრამ თხლად დაჭრილ ნიორს ასხამენ 1 ლიტრ არაყს, დგამენ თბილ ადგილას (30 გრადუს ტემპერატურაზე) და დრო და დრო ანჯღრევენ. ორი კვირის შემდეგ მას წურავენ. ნაყენი თავის თვისებებს ინარჩუნებს 1 წლის განმავლობაში. ამ ნაყენის გამოყენება შეიძლება გრიპის ეპიდემიის და კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს, ჭამის წინ 10-15 წვეთი. იგი შველის ბრონქიტსაც.

გაცივებისას, სახელდახელოდ შეგიძლიათ ყოველ ერთ საათში მიიღოთ თაფლში არეული ნიორი.

ნივრის არასასიამოვნო სუნი ქრება ოხრახუშის ან მიხაკის დაღეჭვით.

---

## სასარგებლო რჩევები

# ლაქების ამოყვანა

* თევზის ცხიმის ლაქებს ამოიყვანთ ძმრის მაგარი ხსნარით (1 სუფრის კოვზი 1 ჭიქა წყალზე).

* თეთრი და ღია ფერის ქსოვილადან, აგრეთვე ქაღალდიდან და წიგნებიდან ცხიმოვანი ლაქები ამოყავთ ბენზინისა და ცარცის ფხვნილის სქელი პასტით. პასტის სქელი ფენა წაუსვით ლაქას და დატოვეთ რამდენიმე საათით, შემდეგ კი შემშრალი მასა გაასუფთავეთ ჯაგრისით. თუ ლაქა მაშინვე არ ამოვიდა, პასტა კიდევ წაუსვით 2-3-ჯერ.

* მუქი შალის ან აბრეშუმის ქსოვილიდან ახალი ცხიმის ამოსაყვანად დალაქულ ადგილზე დააფინეთ ქაღალდის ხელსაწმენდი, საშრობი ქაღალდი რამდენიმე ფენად და გააუთოვეთ თბილი უთოთი, სანამ არ ამოვა.

* ბეწვის საყელოდან, ქუდიდან და სხვა მცირე ნაკეთობიდან ცხიმის ლაქების ამოყვანა შეიძლება ბენზინში დასველებული რბილი ნაჭრით. ბეწვს წაუსვით მისივე მიმართულებით თუ ლაქა ახალია და ბეწვი გრძელი, ხოლო ბეწვის მიმართულების საწინააღმდეგოდ, როცა ლაქა ძველია და ბეწვი — მოკლე. ზოგჯერ ბენზინს უმატებენ მცირე რაოდენობის სარეცხ საშუალებებს („ლოტოსი", „ნეპტუნი"). ამ შემთხვევაში დამუშავებულ ბეწვს დამატებით ასუფთავებენ სუფთა ბენზინით.

* ბეწვის ნივთებიდან ცხიმისა და ოფლის ლაქები შეიძლება ამოიყვანოთ ნიშადურის სპირტისა და სუფრის მარილის ნაყენით (1 ჩაის კოვზი სპირტი და 3 ჩაის კოვზი მარილი 0,5 ლიტრ წყალზე). ამ ხსნარში დასველებული ნაჭრით გაწმინდეთ დასვრილი ადგილები.

* ხელოვნური ბეწვის ქურქის, ქუდის და საყელოდან ცხიმოვანი ლაქების ამოყვანა შეიძლება ბენზინისა და მშრალი სახამებლის თანაბარი წილის ნარევით. მაგრამ ვიდრე გამოიყენებდეთ ამ საშუალებას, შეუმჩნეველ ადგილზე მოსინჯეთ, ხომ არ ახუნებს ან არ უკარგავს ბეწვს ფაფუკობას. შემდეგ მომზადებული ფაფით გაწმინდეთ დასვრილი ადგილები, ბენზინი რომ ამოქრება, გაფერთხეთ და ჯაგრისით მოაცილეთ სახამებელი. თუ ლაქები მოძველებულია ან ძალიან ინტენსიურია, პროცედურა გაიმეორეთ 2-3-ჯერ.

* წიგნის გვერდებიდან ცხიმოვანი ლაქების ამოყვანა ასე შეიძლება: დასვრილ ადგილზე მოაყარეთ დაფქვილი ცარცი, დაადეთ ზედ თეთრი ფურცელი და ცხელი უთოთი გააუთოვეთ. სხვაგვარი რეცეპტი: დაფქვილი ცარცისა და ბენზინის ფაფა ან სახამებლის ხსნარი (1 სუფრის კოვზი ნახევარ ჭიქა წყალზე) წაუსვით დასვრილ ადგილებს, გააშრეთ და შემდეგ რბილი მშრალი ნაჭრით გაწმინდეთ.

შეკრიბა მარლენ აბაშაშვილმა და მზია გოგიშვილმა

## ხელსაქმე

# აპლიკაცია ანუ დაფენილი ნაკერი

აპლიკაცია ანუ დაფენილი ნაკერი არ არის მხოლოდ ძაფით ჩვეულებრივი ქარგვა. აქ გამოიყენება სხვა ქსოვილის მორჩენილი პატარა ნაჭრები, რომელთა ერთმანეთზე დადებით, დაფენით და მიკერებით სრულდება ნებისმიერი ნახატი.

საჭიროა ნაჭერი არ იყოს რღვევადი, რეცხვისას არ გასდიოდეს ფერი.

დაფენილი ნაკერით აფორმებენ ქალის და ბავშვის ტანსაცმელს, ფარდებს, სუფრებს, საწოლის გადასაფარებელს...

გამოჭრისას ქსოვილი რომ არ დაირღვეს, უკუ მხრიდან უნდა წაესვას წებო (ემულსია) ან ჟელატინი, შემდეგ დაჭიმულ მდგომარეობაში გაშრეს და გაუთოვდეს.

აპლიკაცია ასე შესრულდება: ქაღალდზე გადაგვაქვს ნახატი და ვიწყებთ მისი ცალკეული დეტალების გამოჭრას, შემდეგ დეტალებს გადავიტანთ ნაჭერზე და გამოვჭრით ისე, რომ შეერთების ადგილას დატოვებული იყოს ნახევარი სანტიმეტრით ზედმეტი ქსოვილი (ეს უფრო ქვედა ქსოვილს ეხება, რათა არ გამოირღვეს და მეტი სიმტკიცე ჰქონდეს). მომდევნო ეტაპზე ძირითად ქსოვილზე გადაგვაქვს მთლიანი ნახატი და ვიწყებთ წინასწარ გამოჭრილი ნაწილების დაკერებას (ნაკერით „ლამბი"). პირველად ეკერება ის დეტალი, რომელიც ჩვენგან შორსაა, ხოლო ყველაზე ბოლოს კი, რომელიც ყველაზე ახლოსაა. მიკერების შემდეგ ვიწყებთ მისი ნაპირის დამუშავებას. იგი შეიძლება შესრულდეს მარყუჟისებური, ზონარისებური, კილოკავური ან სხვაგვარი ნაკერით.

ნახატის პატარა ნაწილები საჭიროა ამოიქარგოს, რადგან იქ ქსოვილის გამოყენება შეუძლებელია. ასეთია მაგალითად, ყვავილის ღერო, ბწკარები, ხაზები ფოთლებზე, პატარა ფოთლები, წერტილები, თვალის ჭრილი და ა. შ. ასევე, აპლიკაციაში იყენებენ მძივებს, კილიტებს, პატარა ჯაჭვებს, ბანტს... ყოველივე ეს დამოკიდებულია შემსრულებლის ფანტაზიასა და იმ ნახატზე, რომელიც სრულდება.

აპლიკაციის შესრულების მაგალითად განვიხილოთ წინსაფარი და სამზარეულოს ხელთათმანი. ისინი შესრულებულია ნაცრისფერი ტილოს ქსოვილისაგან, ხოლო აპლიკაციისათვის საჭიროა წითელი, ხორცისფერი, თეთრი და ცისფერი ქსოვილის ნაჭრები. ქსოვილზე ჯერ უნდა შესრულდეს აპლიკაცია და შემდეგ შეიკეროს.

აპლიკაციის შესასრულებლად საჭიროა მთლიანი ნახატი № 1 გადავიტანოთ გამჭვირვალე ქაღალდზე (კალკაზე), შემდეგ ამოვხაზოთ თითოეული დეტალი ცალ-ცალკე ისევე გამჭვირვალე ქაღალდზე და გამოვჭრათ (ნახ. № 2). ეს ცალკეული დეტალები უნდა გადავიტანოთ აპლიკაციის შესასრულებლად ქსოვილზე და გამოვჭრათ ისინიც; შემდეგ ხდება საწინსაფრე ქსოვილზე მათი სათითაოდ დამაგრება ნაკერი „ლამბით". ჯერ ეკერება ის ნაწილი, რომელიც ჩვენგან ყველაზე შორსაა, ე. ი. ჩვენს შემთხვევაში დაკბილული ფონი — 1, მომდევნოა ბანტი — 2, (ბანტი შეგვიძლია გამოვტოვოთ და დამთავრების შემდეგ ცალკე გამზადებული მივამაგროთ ისე, რომ არ დაიკარგოს). შემდეგ თავი — 3, ქუდი — 4, ჩანგალი და პური — 5 (ნახ. № 3). ფერები ასე განაწილდება: ფონი — წითელი, ბანტი — თეთრი ან შავი, თავი — ხორცისფერი, ქუდი — თეთრი, ჩანგალი — ცისფერი, პური — ხორცისფერი. შემდეგ ნაპირები საჭიროა შევასრულოთ ნაკერ „ზონარისებური ნაცურით", დარჩენილი დეტალები, თმა ყავისფერი ძაფით (ამოვქარგოთ „ღეროსებურით" ანუ „წყლით"), თვალები თეთრი და ცისფერი ძაფით, წარბები — შავი, ლილები — შავი, პირის ჭრილი — ყავისფერი, ტუჩები — წითელი, ბანტი — თეთრი გარშემო შავი ძაფით დამუშავებული.

ყოველივე ამის შემდეგ შეგვიძლია შევკეროთ წინსაფარი და ხელთათმანი მოცემული თარგით (ნახ. № 4 და № 5). წინსაფრის ბოლოები გალამაზებულია აპლიკაციის ფონის ფერი წითელი ქსოვილით, რომელიც ეკერება უკუ მხარეს, შემდეგ გადმოდის წალმა და ნაპირები უმუშავდება „ზონარისებური ნაცურით". დაკბილული ნაპირის თარგი ნაჩვენებია № 6 ნახატზე, ხოლო უკვე დამთავრებული წინსაფარი და ხელთათმანი — ილუსტრაციაზე. ასე შესრულებული წინსაფარი და ხელთათმანი, ვფიქრობთ, სასურველი იქნება ყველა დიასახლისისათვის.

ჩვენი პატარები ნაწყენები რომ არ დაგვრჩნენ, მათთვისაც გვაქვს ერთი ნახატი, რომელიც დაამშვენებს მათ ტანსაცმელს. № 7 ნახატზე მოცემული სპილო უნდა გადავიტანოთ ქაღალდზე, დავჭრათ ნაწილებად: ტანი, თავი, ქუდი და ხალიჩა; შემდეგ ამის მიხედვით გამოვჭრათ ქსოვილი. ტანი და თავი სასურველია ნაცრისფერი ქსოვილის იყოს, ხალიჩა და ქუდი კი — წითელი ფერის. ნახატი უნდა გადავიტანოთ სასურველ ადგილას და დავიწყოთ მისი შესრულება. ნაწილები მივამაგროთ შემდეგი თანამიმდევრობით: ტანი, ხალიჩა, თავი, ქუდი და ბოლოს პომპონი. ნაპირები მუშავდება „ზონარისებური ნაცურით". ტანი და თავი — ნაცრისფერი ძაფით, ხოლო ქუდი და ხალიჩა — შავი ძაფით. ხალიჩაზე გამოსახული კუთხოვანი ფიგურები საჭიროა დავქარგოთ „ღეროსებური" ნაკერით შავი ძაფით, მრგვალი ფიგურები — კვანძური ნაკერით, ისრით აღნიშნულ ადგილებზე გავაკეთოთ ჩამოკიდებული მძივები ან ფუნჯები. თვალისათვის საჭიროა გამოვჭრათ პატარა მრგვალი თეთრი ქსოვილი და მივაკეროთ თვალის ადგილას, შუაში წერტილი გავუკეთოთ ცისფერი, მწვანე ან შავი ფერის (ძაფით ამოვქარგოთ). გავაკეთოთ წითელი პომპონი და მივამაგროთ ქუდზე. ფეხებთან მრგვალი ფიგურები და ნახატზე მონიშნული ბწკარები დავქარგოთ შავი ფერის ძაფით, შესაბამისად „ღეროსებური" ნაკერით და ულამბო ნაცურით. დამთავრებული აპლიკაცია გავაუთოვოთ უკანა მხრიდან სველი ტილოთი.

ტექსტი და ნახატები
**თამარ ყალიჩგებაშვილისა**

შენიშვნა: გასათვალისწინებელია, რომ აპლიკაცია სრულდება გამოჭრის შემდეგ, შეკერვამდე, ხოლო ხელთათმანი იკერება ორმაგად, შუაში ბამბის საფენის (ვატინის) ჩაკერებით.



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის
ტელეფონი:
99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 21.04.96 წ.
ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 06. 96 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. ტირაჟი 2 000. შეკვ. 456.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. 1




ნახ. 2




ნახ. 3




ნახ. 4



ნახ. 6




ნახ. 5



ნახ. 7

# სილამაზე—სახლიდან გაუსვლელად

თუ გსურთ თმის შეჭრა, შეღებვა, დავარცხნა და საპარიკმახეროში წასვლა არ შეგიძლიათ, დარეკეთ ტელეფონზე 67-06-57 და ქალთა უმაღლესი კლასის პარიკმახერი, ქალბატონი ნელი ბახტაძე თქვენთვის სასურველ დროს ბინაზე გეახლებათ და შეღავათიან ფასებში მოგემსახურებათ, საზოგადოება „თეთრი მანდილის“ წევრებს კი — უფასოდ.

№ 1-2-3

## გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ბალაში.. 5. „ფაუსტი“. 8. კორდა. 9. აფრიკა. 10. რომანი. 11. ბასილიო. 15. იუაირა. 17. „რეალი“. 19. ანაბარი. 20. ეტალონი. 21. ფინტი. 23. ტოკიო. 26. ოპიზარი. 30. უჯარმა. 31. პოპური. 32. რიტმი. 33. იდალგო. 34. აქციზი.

შვეულად: 1. ბლანში. 2. „დარიკო“. 3. იკასა. 4. კროსი. 5. ფარსი. 6. სპარტა. 7. ისინდი. 11. ბასილიო. 12. სპრინტი. 13. ლეგენდა. 14. „ორიანტი“. 16. ჟანრი. 18. ლენჩი. 21. ფორუმი. 22. ნაიადა. 24. „კაბუკი“. 25. ოაზისი. 27. პუარო. 28. ზლოტი. 29. როუპია.

სპ 2ბ/2

ინდექსი 76178



ფასი 1 ლარი